სპორტი ბაზეთი

№31 (723)
ოთხშაბათი
4 ოქტომბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

მაშვინ, მე ევროპაში მივდივარ...

ევროპისგან დავიწყებული ევროპა და მარტოობის ოცი საუკუნე

ვახტანგ ხარჩილავა

მოგილოცავთ, ქართველებო, ბოლოსდაბოლოს, საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხის ღირსების დაცვას ბედავს და როცა საქმე ეროვნულ ინტერესებს ეხება, ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციასაც არ ეპუება, როგორიც ევროპარლამენტია.

პირველად ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, კერძოდ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, შეძლო, დაემსხვრია ურთიერთობის ის პატრონყმური სტერეოტიპები, რომლის მიხედვითაც, საქართველო ვალდებული იყო, მონური მორჩილებით მიეღო ყველა შენიშვნა, მათ შორის, უსამართლო და უსაფუძვლო შენიშვნები და მითითებებიც.

მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველო ჰგავდა კუთხეში დაყენებულ ბავშვს, რომელიც ვერ ხვდებოდა, რისთვის ისჯებოდა და რას ითხოვდა ახირებული და შარიანი მასწავლებელი, სახელად ევროპარლამენტი.

●

რისთვის სჭირდება და რისთვის ირჩევს ესა თუ ის სახელმწიფო ხელისუფლებას?

რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ ამ ხელისუფლებამ დაიცვას საკუთარი სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი ინტერესები, მისი კულტურული და სულიერი ღირებულებები.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლება ყველაფერს პირიქით აკეთებდა. ის ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეენარჩუნებინა ძალაუფლება, რასაც ხშირად ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და მის ღირსებას სწირავდა.

ის, როგორც ჩანს, კულუარულ შეხვედრებისა და კონსულტაციების დროს არწმუნებდა ევროპარლამენტის ცალკეულ დელეგატებსა თუ დელეგაციათა ჯგუფებს, რომ ქართველი ხალხი ერთი უბირი და ველური ერია, რომლისთვისაც უცხოა დემოკრატიული ღირებულებები. ამიტომაც, თუ გვინდა, რომ საქართველოში დემოკრატიამ გაიმარჯვოს, ეს უნდა გაკეთდეს იძულების წესით, ძალისმიერი მეთოდებით, მკაცრი, რეპრესიული ფორმებით.

სააკაშვილს არაერთხელ წამოსცდენია, რომ მისი მთავარი ამოცანაა, ქვეყანაში დემოკრატიის დამყარების პარალელურად შექმნას ახალი ტიპის საქართველო და ჩამოაყალიბოს ახალი ტიპის ქართველი, რომელიც მენტალურად აბსოლუტურად განსხვავებული იქნება მისი წინამორბედისაგან.

ამ ცხრა წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ დიადი მიზნის, ამ ღვთიური მისიის აღსასრულებლად სააკაშვილს და მის გუნდს მოქმედების სრული თავისუფლება, სრული კარტბლანში მიეცა, როგორც ევროპარლამენტისგან, ასევე, ზოგადად, მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობისგან.

მიზანი ამართლებს საშუალებასო, — ნათქვამია. დიადი მიზანი — დემოკრატიის აშენება ამართლებდა იმ საშუალებებს, ხშირად აბსოლუტურად ანტიდემოკრატიულს, რომელთა მეშვეობითაც ამ ზეამოცანის მიღწევა უნდა მომხდარიყო.

არ არის გამორიცხული, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავისი ფსიქიკური მდგომარეობის წყალობით დაიჯერა, რომ ის მესიაა, ზეკაცია და მას მართლა შეუძლია შეუძლებელი — გადაასხვაფეროს, გადააკეთოს ქვეყანა, გადააკეთოს ადამიანები, შექმნას თვისობრივად ახალი ნაცია.

დროთა განმავლობაში, მას, ეტყობა, ეცოტავა ადგილობრივი მნიშვნელობის ზეკაცის როლი და საერთაშორისო ტრიბუნებიდან ზოგადკაცობრიულ, გლობალურ პრობლემებსა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე დაიწყო ჭკუისდამრიგებლური ხასიათის ლექციების კითხვა.

მას უსმენდნენ! უსმენდნენ სიყვარულით გაცისკროვნებული თვალებით, მოწონების ნიშნად ტაშს უკრავდნენ და ამხნევებდნენ.

ვერ გეტყვით, რა დოზით არის ჩართული ფროიდისტული ინსტინქტები პოლიტიკაში, მაგრამ სააკაშვილის ურთიერთობა ბებერ ევროპასთან რაღაც ინტიმურ-გლამურულ ელემენტებს შეიცავდა თითქოს.

ეს ენერგიით დამუხტული ახალგაზრდა კაცი აშკარად მოსწონდა მეტწილად ხანდაზმული ადამიანებით გადავსებულ მსოფლიოს პოლიტიკურ აუდიტორიას.

მოგვიანებით, სააკაშვილი ქართული აუდიტორიის წინაშე საერთოდ გაშიშვლდა და ტრუსების ამარა დარჩენილმა საქართველოს მოსახლეობის „საცდუნებლად“ პოზირება დაიწყო, მაგრამ ოქტომბრის არჩევნებში ამანაც ვერ უშველა...

●

როგორც მოგახსენეთ, მიზანი ამართლებს საშუალებას.

საერთაშორისო თანამეგობრობისგან, აშშ-ის ადმინისტრაციისგან, ევროპარლამენტისგან დასტურმიცემული და წაქეზებული სააკაშვილი ენერგიულად შეუდგა დასახული მიზნისკენ სვლას, მიზანი კი, როგორც ვთქვით, დემოკრატიის მშენებლობა იყო, თუმცა ის, რასაც სააკაშვილი აშენებდა, სულაც არ ჰგავდა დემოკრატიას.

პირველი, რაც მან გააკეთა, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში მოუყარა თავი.

ის, ფაქტობრივად, უგვირგვინო მეფე, უგვირგვინო მონარქი გახდა, რომელმაც მეფისა და მონარქიისთვის უჩვეულო საქმეს — დემოკრატიის მშენებლობას მოჰკიდა ხელი.

საერთაშორისო თანამეგობრობა და, მათ შორის, ევროპარლამენტიც მშვიდად ადევნებდა თვალს — როგორ ყრიდა ციხეებში ეს გამოუცხადებელი მონარქი და დიქტატორი უდანაშაულო ადამიანებს, ნულოვანი ტოლერანტობის ლოზუნგით როგორ ხვრეტდნენ ქუჩებში ადამიანებს, როგორ ართმევდნენ ქონებას და როგორ აყაჩაღებდნენ ბიზნესმენებს — ევროპარლამენტის რეაქცია ყოველივე ამაზე ნული იყო.

ცხრა წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოს, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ევროპარლამენტს ვთხოვდით, ვეაჯებოდით, ვეხვეწებოდით, რაღაც ეშველა უბედურ დღეში ჩავარდნილი ქვეყნისთვის და ეს გავეშებული ადამიანი როგორმე მოეთოკა, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი — გამოუცხადებელ დიქტატორს დემოკრატიის მშენებლობაში ხელს ხომ არ შეუშლიდნენ?

სააკაშვილის რეჟიმის უპირობო მხარდაჭერა დემოკრატიასთან კი არ გვაახლოებდა, კიდევ უფრო გვაშორებდა მას, თუმცა ვიღაც-ვიღაცები გვარწმუნებდნენ, რომ გამალებული ტემპებით მივიწევდით წინ და, სადაცაა, დემოკრატიის ოაზისში ამოვყოფდით თავს.

აი, ეს ცინიზმი, ეს უტიფრობა და სიცრუე უაღრესად მტკივნეული და შეურაცხმყოფელი ქართველი ხალხისთვის, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ 23 ევროპარლამენტარის მიერ ხელმოწერილი ახალი ფორმით და ახალი შეფუთვით დაგვიბრუნდა უკან.

●

ვთქვათ სიმართლე, ვინც დღეს სააკაშვილის რეჟიმს მხარს უჭერს, ის ამ რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულის მონაწილე და თანამზრახველია.

საქართველომაც და ევროპარლამენტმაც კარგად უნდა დაიმახსოვროს იმ 23 პარლამენტარის ვინაობა, რომლებიც ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებენ საქართველოსა და მისი ახალი ხელისუფლების მისამართით.

დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ქართული ნიურნბერგის პროცესი აუცილებლად შედგება, სიმართლეც აუცილებლად დადგინდება და მაშინ იმ 23 პარლამენტარსაც მოუწევს პასუხის გაცემა კითხვაზე: რა მოტივით, რა მოსაზრებით აყალბებდნენ ისინი სინამდვილეს?

ადრე მხოლოდ მათიას იორში დადიოდა საქართველოში ევროპარლამენტიდან, რომელიც, მაშინ გავრცელებულ ხმებს თუ ვენდობით, დიდი ჰონორარების საფასურად არჩევნების შედეგებს ისე „ითვლიდა“, როგორც შემკვეთი შეუკვეთავდა ხოლმე...

ახალი იორშები ხომ არ გამოჩნდნენ ასპარეზზე და ახლა ისინი ხომ არ განაგრძობენ მის მიერ გაკვალულ გზას?

იორშმა იმდენი იარა საქართველოში, ბოლოს ფეხი მოიტეხა.

თქვენც არ მოიტეხოთ ფეხი, ახალი „მოწვევის“ იორშებო, ამ ცოდვიან და ოღროჩოღრო პოლიტიკურ ბილიკებზე...

●

ყოველთვის მაოცებდა და დღემდე მაოცებს „ფრთიანი“ გამოთქმა: საქართველო ევროპისკენ მიდის და სულ უფრო და უფრო უახლოვდება მას.

ამ გამოთქმაში, ჩემი აზრით, ასეთი უხერხული ქვეტექსტი იგულისხმება — საქართველო არ არის ევროპა, მაგრამ თუ დაჟინებით ივლის ევროპისკენ, მისი სრულუფლებიანი ნაწილი გახდება.

არადა, საქართველო სწორედ რომ ევროპაა, მისი სულისა და სხეულის ნაწილია, რომელიც მთე-

ლი თავისი არსებობის განმავლობაში, ოთხივე მხრიდან მტრებით გარშემორტყმული მარტო იბრძოდა საკუთარი თავისა და იმ ევროპული ღირებულებების გადასარჩენად, რომელიც მან თავისი სახელმწიფოებრიობის ფუძედ და საძირკვლად აირჩია.

მარტო ვიყავით ჩვენ, მარტოობა იყო ჩვენი ბედისწერა და ალყაში მოქცეულნი სულ ამ ალყის გარღვევას ვცდილობდით, რომ იმ კონტინენტამდე მიგვეღწია, რომლის ნაწყვეტად და ფრაგმენტად მიგვაჩნდა თავი.

მარტოობის ოცი წელი კი არა, მარტოობის ოცი საუკუნე გავლიეთ ასე.

ჩვენ სულ ევროპისკენ მივდიოდით, მაგრამ ევროპა არ მოდიოდა ჩვენკენ.

სააკაშვილის მიერ მოთაფლული და პოლიტიკურად ანგაჟირებული ევროპის სახალხო პარტიის სააშვილისტი წევრების „სადესანტო“ ჯგუფი კი არა, ევროპა გვინდა მოვიდეს ახლოს, რომ კარგად დაგვინახოს და დარწმუნდეს, რომ აქაც ევროპაა, ოღონდ ევროპის მიერვე დავიწყებული და საჯიჯგნად და სახრავად „ნაცბანდისთვის“ მიგდებული ევროპა.

ქართველმა ხალხმა ბოლო წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ის მაღალი კულტურის და მაღალი სულიერების ერია, რომელმაც საკაშვილის ჯოჯოხეთს გაუძლო და 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ღირსეულად გაიმარჯვა.

სხვა ნურავინ დაიბრალებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ 1-ელ ოქტომბერს დემოკრატიული არჩევნები შედგა — ეს, პირველ რიგში, ქართველი ხალხისა და კიდევ ერთი კაცის, ბიძინა ივანიშვილის, დამსახურებაა და არა ევროპარლამენტის, არა ევროსაბჭოს, არა ეუთოს და, მით უმეტეს, არა სააკაშვილის, რომელიც თავს იწონებს იმით, რომ მან, თურმე, მშვიდობიანად გადააბარა ძალაუფლება გამარჯვებულ ძალას, როგორც ეს ჭეშმარიტ დემოკრატს შეეფერება.

არადა, ამ „ჭეშმარიტმა დემოკრატმა“, როგორც შეეძლო და რამდენადაც შეეძლო, ძველ ზნე-ჩვეულებას ვერ უღალატა და ექსპერტთა აზრით, არჩევნების შედეგები 20 პროცენტით მაინც გააყალბა, ხოლო ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ წინასაარჩევნო პერიოდში აკეთებდა, ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება — ეს იყო ძალადობის, ცინიზმის, თვითნებობის, სისასტიკის არნახული ფეიერვერკი.

მიზეილ სააკაშვილი თეთრკანიანი იდი ამინია, გარედან თეთრი, შიგნით კი შავი და ბნელი, რომელსაც 23 ფარისევლის კი არა, 230 ფარისევლის იავნანა და სულის ბერვა ვერ უშველის.

●

საქართველო არა მარტო გეოპოლიტიკური, არამედ გეოკულტურული გზაჯვარედინია, კულტურათა და ცივილიზაციათა გადაკვეთის წერტილია, რამაც ჩამოაყალიბა ქართული ხასიათის თავისთავადობა, მისი ტოლერანტული ბუნება და შემწყნარებლობა.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში არავინ არასოდეს უდევნიათ ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით.

ჩვენ არ გვჭირდება დემოკრატიის სწავლება, თანაც არადემოკრატიული მეთოდებით, ჩვენ გვჭირდება ობიექტური, მიუკერძოებელი მედიატორი, რომელიც, პირველ ყოვლისა, ხალხის ინტერესებს დაიცავს და არა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ამბიციებს მოემსახურება, როგორც ეს ბოლო ხანებში ხდებოდა.

დაბოლოს, ნურავინ ნუ უყურებს საქართველოს, როგორც სამხედრო ბაზების განლაგებისთვის ხელსაყრელ და მომგებიან ადგილს — შემოგვხედეთ, როგორც კულტურათა სახლს, შემოგვხედეთ, როგორც თანასწორს, როგორც პარტნიორს და არა „პაბეგუშკაზე“ გასაგზავნ ხელისბიჭს, რომელსაც ხან ვინმესთვის პანღურის ამორტყმას ავალებენ, ხან ვინმესთვის ენის გამოყოფას ან შეგინებას.

ევროპის სახალხო პარტიისადმი მიწერილ ბიძინა ივანიშვილის ღია წერილში ნათლად არის ნათქვამი, რომ ეს დრო დამთავრდა და არასოდეს მობრუნდება.

ევროპის სახალხო პარტიის მისამართით გაგზავნილმა ბიძინა ივანიშვილის ღია წერილმა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ფრიად შეაშფოთა და შეაშინა — როგორ შეიძლება, ევროპარლამენტს სიტყვის შებრუნება ვაკადროთ და ასეთი წერილებით გავაღიზიანოთ? ამას, შეიძლება, ცუდი რეაქცია მოჰყვესო, — წუხან ისინი.

ნუ ეწყინება ნურავის, მაგრამ ზუსტად ეს არის ის, რასაც არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქვია, რაც ჯერ რუსული, შემდეგ საბჭოური იმპერიის „მფარველობის“ ქვეშ ყოფნის ორასსამოცდაათწლიანმა პერიოდმა დაგვიტოვა.

საქართველოს ხელისუფლებები, წინა და იმის წინა, ვერა და ვერ გათავისუფლდნენ ქვეშევრდომული კომპლექსებისგან და ბრიუსელი, სტრასბურგი თუ ვაშინგტონი ახალ მოსკოვად მიაჩნდათ, მარტენსი კი - სუსლოვად.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველო ნახევრად კოლონიურ ქვეყანას დაემსგავსა, რომლის მთავრობები ახალი მოსკოვისა და ახალი პოლიტბიუროს ინსტრუქციების უსიტყვოდ შესრულებაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე.

ბიძინა ივანიშვილი მოიქცა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს ღირსეული ქვეყნის ღირსეული ხელისუფალი.

მის წერილში არაფერია ისეთი, რაც, შეიძლება, ევროპარლამენტის ან მისი ცალკეული წევრების მიმართ უპატივცემულობის ელემენტებს შეიცავდეს.

რაც შეეხება შეურაცხყოფას, შეურაცხყოფილი თუ ვინმეა, ეს ქართველი ხალხია, რომელსაც არწმუნებენ, რომ ის ცხრაწლიანი კოშმარი, რომელიც საქართველოს თავს დაატეხა სააკაშვილის რეჟიმმა, კოშმარი კი არა, დემოკრატიის დღესასწაული იყო.

●

საქართველოს ციხის შიგნიდან გამტეხველები არასდროს აკლდა და არ აკლია ახლაც.

მათთვის სამშობლო სამშობლო კი არა აღებმიცემობის და ვაჭრობის საგანი იყო საკუთარი ამბიციების და ეგოისტური ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად.

მოღალატეთა ეს კასტა, ეს მარადიული მეხუთე კოლონა, ბოლო წლებში „ნაციონალებისა“ და მისი ბელადის სახით მოგვევლინა.

სულ ახლახან გაირკვა, რომ მიზეილ სააკაშვილს ისეთი ვალდებულებებისთვის აქვს ხელი მოწერილი, რომლებიც სერიოზულ საფრთხეებს უქმნიან ქართულ სახელმწიფოს.

ერთ-ერთი ამ ვალდებულებათაგანი ამ რამდენიმე დღის წინათ მოკრძალებით შეგვახსენა ჩვენმა სომეხმა ძმამ სამცხე-ჯავახეთიდან — დაპირებისამებრ, იქნებ, სომხურ ენას რეგიონული ენის სტატუსი მიანიჭოთო.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, კიდევ რა ვალდებულებები აქვს აღებული სააკაშვილს და კიდევ რა დაპირებები ჰკიდია ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით.

არსებობს ეჭვი, რომ საქართველო დახლს ქვემოდან, ჩუმად და ნამალავად არის გაყიდული და მყიდველები ახლა თავიანთი წილი „ტავარის“ მიღებას ითხოვენ.

ასეა თუ ისე, საქართველო დიდი გამოწვევისა და დიდი საფრთხეების წინაშე დგას.

ზედმეტად მიმაჩნია იმის გამეორება, თუ რა როლი შეასრულა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოსთვის ამ საბედისწერო ჟამს.

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ვთქვი — ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია-მეთქი.

დრომ დაამტკიცა, რომ სწორად მითქვამს — ნამდვილად გმირობა იყო ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი არჩევნებამდე აკეთებდა და გმირობაა ისიც, რასაც ბიძინა ივანიშვილი ახლა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აკეთებს...

ასე მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი ადამიანები იქცევიან.

ისევ ადრე ნათქვამს გავიმეორებ: ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია, მაგრამ ახლა ის უნდა გაირკვეს, ვინ ვართ ჩვენ — ქართველები და რამდენად ვართ მზად ჩვენი წილი გმირობისთვის.

2012 წლის ოქტომბერი

მარტის კატასავით აფეხილი ოპო-ციც-ია

რადიო „თავისუფლების“ ევროპის ბიუროს ჟურნალისტი რიკარდ იოზვიაკი: „ევროკომისია ყოველთვის ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ კანდიდატის სტატუსი დამსახურებაზეა დაფუძნებული; რომ ისინი აკვირდებიან რეკომენდაციების შესრულებას და გადაწყვეტილებას ამაზე დაყრდნობით მიიღებენ. დიახ, ეს არის დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურია. ვფიქრობ, საქართველო საბოლოოდ მიიღებს კანდიდატის სტატუსს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს მთავრობამ დაიმსახურა, არამედ იმიტომ, რომ ახლა ასეთი პოლიტიკური ვითარებაა ევროპაში. ევროკავშირი იაზრებს, რომ ეს გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებაა და საქართველო პროცესის მიღმა არ უნდა დატოვონ“. მისივე თქმით, ევროკავშირს არ ენდომება, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს და მეორე მხრივ, მოლდოვა-უკრაინას შორის ინტერვალი გააღრმავოს, რადგან, უარის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ქვეყნები ერთმანეთს უფრო დაშორდნენ.

იოზვიაკს ვინ ეკითხება ევროკომისიის გადაწყვეტილებებს, მაგრამ ვარაუდობს, რომ წლის ბოლოს ყველას მიმართ დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაასახელა კონკრეტული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში სამოქალაქო არეულობის მოწყობას გეგმავენ ხელისუფლების პროროსულობის მიზეზით, რაც, საბოლოოდ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას ითვალისწინებს. აი, ისინიც: უკრაინაში მყოფი უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე; მესამე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი მიხაილ ბატურინი; უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი; ორგანიზაცია „კანვასი“, რომლის ბირთვსაც ორგანიზაცია „ოტპორი“ წარმოადგენს.

საქართველო იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ ყველაფრისა და ყველას შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ისიც კარგად ვიცით საქართველოში, რომ საქართველოსა და, კონკრეტულად, დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილი ყველა მავნებლობა უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით იგეგმება.

ატყდა ჟრიამული, არავინ აპირებს გადატრიალებასო და „დიდმა ხაბემაც“ ამოიტატყანა რაღაც, ყველამ თავის საწოლში იკოტრიალოსო. მთლად ედუარდ შევარდნაძის ფრაზა ვერ გაიმეორა, მაგრამ წაიპლაგიატა, ეტყობა, სიყრმეში მოჰკრა ყური და ფრიად მოეწონა.

ვინ არ აპირებს და რას არ აპირებს?!

2012 წლიდან რევოლუცია, სისხლი და გადატრიალება ელანდება ყველა მანამდე ნაპატივებს, უბრალოდ, მონდომება რელობად ვერ აქციეს. იმდენი „ცხელი შემოდგომა“ აქვთ გამოცხადებული ანონსად, თავები გაცხელებისგან გადაეწვათ და ტვინი გაეყინათ. წელიწადში ორჯერ წამოუვლით, ხან შემოდგომაზე ირევიან, ხან გაზაფხულზე ატყდებიან ხოლმე მარტის კატებივით. არც ზაფხულში აკლებენ ხელს, მაგრამ ვერც მაშინ გამოსდით, „პოროხი“ არ ჰყოფნით. ყოველმხრივ გარედან მართულები არიან ეს გაჭირვებულები. იმ „გარეთ“ კიდევ, რეალობიდან იმდენად დაშორებული წარმოდგენა აქვთ საქართველოში არსებულ შიდა დინებებზე, ყოველი მცდელობა ნაცარში უვარდებათ. ნამდვილი ჯარი, თვალით რომ არ უნახავთ ამ უნიფხვო მეომრებს, ესაა მიზეზი, რომ ველარ გაუგიათ, როდის შეწყვიტონ ფაფხური. ხელში რომ ცარიელი კონდახიღა გრჩება, იმის იმედზე როგორღა უნდა იყო? გამომივიდნენ ესენიც ძალგულოვანი მეომრები!

„ნაცმოძრაობის“ ე.წ. ლიდერები კი არა, ორღობეში რომ „ნაციონალი“ შეგხვდება მიყრუებულ ადგილზე, ისიც კი რევოლუციაზე ოცნებობს და თბილისში მათ მიერ წამოწყებული ყოველი დესტაბილიზაციის მცდელობაზე იმ მიყრუებულში ხარობს.

ოქტომბერ-დეკემბერში კი არა, დღე-ღამეში 24 საათი უნდათ სამოქალაქო არეულობის მოწყობა, მაგრამ ახლა ეს დრო იმიტომ შეარჩიეს, რომ ამ პერიოდში უნდა გამოქვეყნდეს ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნები. დიდი იმედი აქვთ, რომ გამოქვეყნებული დასკვნა უარყოფითი იქნება და ხელისუფლების „პროროსულობის“ ბრალდებით ნიადაგს შექმნიან დესტაბილიზაციისთვის მათ მიერვე დატრენინგებული უწიგნური ახალგაზრდების უშუალო ჩართვით. დიახ, უწიგნურების, რადგან გაირკვა, რა „რუსული კანონიც“ ყოფილა „ფარა“, გაირკვა, მაგრამ მაინც ვერ გაიგეს, მათ ანტისახელმწიფოებრივად დატრენინგებულ ტვინებში რამის გასაგები ადგილი აღარ დარჩა.

რა სასაცილოები არიან, ნილოსი სვანეთში ჰგონიათ და დათა თუთაშხია თურქეთიდან გადმოსასვენებელი, მაგრამ ევროპებში და ამერიკებში უნდათ, იქ ხომ მათი სახლია...

რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც სუს-ის მაღალჩინოსნის ნათქვამს გაამყარებდა, სახელმწიფო უწყებას არ გამოუქვეყნებიაო, წკავწკავებენ ოპოზიციის წარმომადგენლები. ჰო, როგორ არა, სუს-ი უნდა დადგეს და ყოველ ცისმარე დღეს ტელევიზიით დაწვრილებით გვამცნოს მათ ხელთ არსებული ინფორმაციები და გაგვიმხილოს მათი შემდგომი სამოქმედო გეგმები.

კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ბაჩა მგელაძემ თქვა, რომ დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციით, გიორგი ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული გეგმის შესასრულებლად გამოყენებული იქნება უკრაინაში მებრძოლი ქართული წარმოშობის მებრძოლთა ჯგუფი, რომლის წვრთნა-გადამზადება პოლონეთ-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ მიმდინარეობს.

ამ ინფორმაციაში რაიმე უცხო და დაუჯერებლად მოგეჩვენათ? უკრაინაში დაწყებული ომის დღიდან ხან რომელი ქართველი გვემუქრება ქართველებს, საქართველოში სისხლის ტბებს დავაყენებთო და ხან — რომელი.

სუს-მა დესტაბილიზაციის მოთავედ ახალგაზრდული ორგანიზაცია „კანვასი“ დაასახელა, რომლის ბირთვსაც წარმოადგენს ორგანიზაცია სერბული „ოტპორი“.

სუს-ის განცხადების შემდეგ ტელევიზიით ვიხილეთ დაკითხვაზე დაბარებული ოტპორის“ წევრი სერბები, თუმცა გაუთქმელობის ვალდებულებაზე ხელმოწერის გამო ვერაფერი თქვეს ვერც მათ და ვერც მათმა ადვოკატმა, ერთი ისღა ამოღერღეს, აბსურდული ბრალდებააო. აბსურდული რა არის, როდესაც ყველამ ვიხილეთ და მოვისმინეთ მათი ლექციებიდან ამონარიდი. აბსურდული ისაა, რამ არ „ლექტორები“ არ დააკავეს.

რევოლუციური სცენარებისთვის ახალგაზრდული ჯგუფების მზადდება ყველგან, სადაც დასჭირდებათ, ცნობილი ამბავია...

ორგანიზაცია „კანვას საქართველოს“ დირექტორი გიორგი მელავის რომ ახალგაზრდული ჯგუფები მზადდება ყველგან, სადაც დასჭირდებათ, ცნობილი ამბავია...

ორგანიზაცია „კანვას საქართველოს“ დირექტორი გიორგი მელა-

მიმდინარე წლის ბოლოს დაგეგმილი რევოლუციური სცენარისთვის ახალგაზრდული ჯგუფების მომზადების მიზნით ორგანიზაცია „კანვასი“ გამოიყენება

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, 2023 წლის 25 სექტემბერს საქართველოში USAID-ის პროგრამის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოწვევით ჩამოვიდნენ სერბეთის მოქალაქეები სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი. აღნიშნული პირები დაკავშირებული არიან 2003 წელს საქართველოში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებთან, სხვადასხვა წლებში კი მათ ასევე კავშირი ჰქონდათ სერბეთში, უკრაინასა და სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან. ისინი აქტიურად ახორციელებდნენ საპროტესტო მუხტის წარმოქმნის მეთოდიკისა და ძალადობრივი აქციების ჩატარების ტაქტიკის სწავლებას. წარმოადგენენ ორგანიზაცია „კანვასის“ მმართველ რგოლს, აგრეთვე, სინისა სიკმანი და სლობოდან ჯინოვიჩი არიან ორგანიზაცია „ოტპორის“ ყოფილი წევრები, რომელიც სერბეთში წარმოადგენდა ქართული ორგანიზაცია „კმარას“ ანალოგს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოში მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი რევოლუციური სცენარისთვის გამოსაყენებელი ახალგაზრდული ჯგუფების მომზადების მიზნით გამოიყენება ორგანიზაცია „კანვასი“, რომლის ბირთვსაც შეადგენს ორგანიზაცია „ოტპორი“. აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში განვითარებულ რევოლუციურ პროცესებში მონაწილეობისა და ძალადობრივი საპროტესტო აქციების ორგანიზების სწავლების კუთხით.

აღნიშნული პირების საქართველოში ჩამოსვლის გაცხადებული მიზეზი იყო კულტურის სფეროში მოღვაწე ჯგუფებისთვის ტრენინგების ჩატარება „სტრატეგიული არაძალადობრივი ბრძოლის“ საკითხებში, მაგრამ გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზანი მხოლოდ ეს არ იყო. კერძოდ, ვიზიტის რეალური დანიშნულება იყო იმ ახალგაზრდებსა და გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დამყარება და ტრენინგების ჩატარება, რომლებიც საქართველოში მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი დესტრუქციული მოქმედებების და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ბირთვი უნდა გახდნენ. მათ მიერ 2023 წლის 26-29 სექტემბერის პერიოდში ქ. თბილისში მდებარე სასტუმროში „იბისი“ მიმდინარეობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების წარმომადგენლების, კერძოდ, ერთ-ერთი დიდი ჯგუფის გადამზადება, რომლებმაც გადამ-

ძე ყოფილა. ეს ის „კმარელი“ გიორგი მელაძე ხომ არ არის, 2003 წელს სტუდენტები სერბული ანალოგის „ოტპორის“ მსგავს ახალგაზრდულ მოძრაობაში რომ გაერთიანდნენ, მათივე სიმბოლიკა (შეკრული მუშტი) აიღეს და სახელად „კმარა“ დაირქვეს? რასაც აკეთებდა „კმარა“ და როგორც იქცეოდა, ყველას გვახსოვს! (ეს მელაძე შავ-ნოდარას, ჩვენი ფანქლიანი ნოდალიკოს მხოლოდ მოგვარეა, ნეტავ, თუ ნათესავადაც ერგება?!)

ჰოდა, ეს გიორგი მელაძე აღშფოთდა, არანაირ გადატრიალებას არ ვგეგმავო; ორგანიზაცია „ოტპორის“ წევრებს 2003 წლიდან ვიცნობ და მათთან ერთად, დაახლოებით, 2005 წელს შეიქმნა ორგანიზაცია „კანვასი“ და ვმუშაობთ „არაძალადობრივი სამოქალაქო კამპანიების შესახებ ცოდნის გავრცელებაზეო“; ამ საკითხებზე ტრენინგებს ვატარებ და 20 წელია, სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ ცოდნის გავრცელებაზე ვმუშაობო.

რა საინტერესოა, რა ცოდნას აძლევს ახალგაზრდულ ჯგუფებს, რა ცოდნითაც მაშინ „კმარა“ იყო შეიარაღებული, თუ უფრო დახვეწილ ვერაგულ ფორმებს სთავაზობს?

ფაქტია, აღშფოთდა და სახელმწიფოს მისდგა, ეს რა თქვა სუს-მა, ავტორიტარიზმის ცუდ ფორმასთან გვაქვს საქმე და როდესაც „არაძალადობა“ ხდება დევნის სამიზნე, ეს ყველასთვის ძალიან დიდი პრობლემაა და შესაბამისი ადეკვატური რეაგირება სჭირდებაო.

რა თქმა უნდა, ესეც საინტერესოა, რა მიაჩნია „საქართველო კანვასის“ თავკაცს „შესაბამის ადეკვატურ რეაგირებად“, „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლა და პოლიციელების ცოცხლად დაწვა, თუ ქალაქის დანგრევა, გნებავთ, მკვლელობები?!

ახლახან ვნახე ერთ-ერთ სოციალურ ქსელში, სასაფლაოზე რაღაც სამარცხვინო და ამავდროულად, საშიში, გაპრანჭული გოგონა როგორ იქცეოდა მამაკაცის საფლავზე. ხალხის რეაქცია არაერთგვაროვანი იყო, ეტყობა, ამ კაცმა სიცოცხლეში გააბრაზა, ეს გოგო დაექადნა, ასე ვიზამ შენს საფლავზეო და შეუსრულაო. მეტი რაღაა ტვინის გამორეცხვა. კი, არაძალობრივად იქცეოდა, დაკრძალულ მიცვალებულზე როგორ უნდა ეძალადა... სამწუხარო და საგანგაშოა, რომ ეს ქმედებაც ვიღაცებისთვის ადეკვატური რეაგირება აღმოჩნდა...

სუს-ის განცხადებაზე მხოლოდ ორი სიტყვით გამოხატა რეაქცია მამუკა მამულაშვილმა — „იდიოტები არიან!“

იდიოტები არიან თუ გენიოსები, ამაზე მოგვიანებით მოგვიწევს საუბარი, მაგრამ ის, რომ მამუკა მამულაშვილის სახელი არაერთხელ ახსენეს „ნაცმოსთან“ და მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, რაც ყოველთვის უკრაინიდან ჩამოყვანილ მეომრებს უკავშირდებოდა, არაფერს ნიშნავს ვითომ?

რას აკეთებენ ქართველი სამხედროები უკრაინაში, რას წარმოადგენს „ქართული ლეგიონი“ და რანაირად დაკომპლექტდა, ან როგორ ივსება ახალი წევრებით, ცალკე საკითხია. ფაქტი ის არის, რომ „ქართული ლეგიონი“ 2014 წლიდან იმყოფება უკრაინაში. 2022 წლის აპრილში რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა განაცხადა, რომ დაქირავებულობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა „ქართული ლეგიონის“ 24 წევრის მიმართ, მათ შორის, მამულაშვილზეც.

ის, რომ საქართველოში სამოქალაქო არეულობა, რევოლუცია თუ სხვა, ნებისმიერი სახის დესტაბილიზაცია კვლავ უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით იგეგმება და მათი მიზანი ძალადობრივი გზით ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის განადგურებაა, აშკარაა.

სუს-მა ორიოდე, მაგრამ გასაგები ინფორმაცია გვამცნო საზოგადოებას, რაც მხოლოდ პირამიდის წვერი იყო, თვითონ კი სრულად ფლობს ქვეყნისთვის საჭირო ინფორმაციას, კარგად იცის, რა სიღრმეზე აქვს პირამიდას საძირკველი, ვინ არიან ცოცხალი მუმიები და რა მავნებლობას გეგმავენ მავანთა მიერ მიწოდებული „პაპირუსებით“...

საქართველოს ხელისუფლება თუ მოწოდების სიმაღლეზე იქნება და საკუთარი ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში ქვეყნისა და ხალხის მოღალატე მაღალჩინოსნებს დროულად ალაგმავს, ვეღარც „კარვების ქალაქს“ მოაწყობს ვინმე, ვერც ბარიკადებს აღმართავს სტრატეგიულ ობიექტებთან და ვერც სამთავრობო შენობების დაკავებაბარიკადირებას მოახერხებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სადმე ასაფეთქებელი მოწყობილობების შეტანა-აფეთქებაზე.

რა მარტივად იციან გადაწყვეტა — „უნდა იყოს მსხვერპლი!“ სხვისი ხელით ნარის მგლეჯავები არ გამოილია! რისი თქმა უნდათ, ვინც უნდა იყოს ის მსხვერპლი, ერთი სამართალდამცავი თუ ერთი სამოქალაქო პირი, ტრაგედია არ იქნება? შემდგომ კი სამოქალაქო დაპირისპირება რომ დაიწყოს, რა მნიშვნელობა აქვს მსხვერპლის რაოდენობას, უკვე სტატისტიკაში გადავა?

უმთავრესი ის არის, რომ საქართველოში რევოლუცია და ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს ოცნებად. ეს სურვილი აქვთ იმ უცხო ქვეყნებსაც, რომელთაც ყველაფრით ხიბლავს საქართველო ქართველების გარეშე. რატომაც არა! საქართველო ხომ ყოველმხრივ სახარბიელოა, იდეალური გეოგრაფიული მდებარეობიდან დაწყებული, დამთავრებული მიწით, წყლითა და ჰაერით.

საქართველომ ყველანაირი უბედურება გამოიარა. კმარა!

უკრაინაში, თუ უნდათ, ახლიდან მოიწყონ და მოაწყობინონ „ევრომაიდანი“! ისემც უქნიათ, კვლავ ვიქტორია ნულანდი მიუწვევიათ ფუნთუშების დასარიგებლად და საიქიოდან მაკკეინის მისალოც დეპეშა დაელოდონ!..

P.S.

ბუდაპეშტში, ფიგურულ სრიალში დასრულებულ გრან-პრის ტურნირზე საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე წყვილმა გაიმარჯვა — ლუკა ბერულავამ და ანასტასია მეტიოლკინამ. საქართველოს ჰიმნის გაჟღერების წინ, ქართველმა სპორტსმენებმა ბრინჯაოს მედალოსნებს მიულოცეს და საპასუხო მილოცვაც მიიღეს, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა უკრაინელმა წყვილმა (ივან ხობტა და ვიოლეტა სეროვა) ხელის ჩამორთმევაზე უარი განაცხადა. ამ მოზარდებს, დიდი ალბათობით, სრულებით არ აინტერესებთ პოლიტიკა და რომც აინტერესებდეთ, უცნაური ქართულ-უკრაინული მეგობრობისას ვერაფერს გაიგებდნენ და არც სხვების დარიგების გარეშე მოიქცეოდნენ ასე.

უცნაური ამბების მომსწრე გავხდით ერთიმეორის მიყოლებით — კანადის პარლამენტში აპლოდისმენტებით შეხვდნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 98 წლის უკრაინელ ვეტერანს, იაროსლავ გუნკას, რომელიც ნაცისტების შშ-ის მე-14 დივიზიაში მსახურობდა...

სამყარო აჭრილია, ნაცისტ SS-ელს ტაშს უკრავენ, რადგან რუსების წინააღმდეგ იბრძოდა...

ნინო დაუშვილი

წყვეტი როლი უნდა შეასრულონ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესების მომზადებასა და განხორციელებაში. აღნიშნულ პირებს ჩაუტარდათ სწავლება, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სამიზნე ჯგუფების, კერძოდ, ხელისუფლების, მართლმადიდებლური ეკლესიის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სხვა უწყებების წინააღმდეგ, ასევე, გზებზე პიკეტების და ხელოვნური საცობების შექმნისა და ადმინისტრაციული შენობების წინ კარვების მოწყობის ტექნიკაზე, როგორ უნდა შეიტანონ მღელვარება ძალოვან სტრუქტურებში, რა ძალადობრივი პასუხი უნდა გაეცეს მათ კანონიერ მოთხოვნებს. მსმენელები შეამზადეს მოსალოდნელი დაკავებების პროცესისთვის და სწავლება ჩაუტარეს ასეთ დროს წინააღმდეგობის გაწევის ხერხებზე, აქციის მონაწილეთა დაფინანსების საკითხებზე, პარლამენტის შენობაში შეჭრაზე, მაუწყებლობის სადგურების გათიშვასა და ძალაუფლების ხელში აღებაზე, საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლების ჩამოშლაზე, რა დროსაც მათ მიერ შედარებითი ანალიზისთვის მოყვანილ იქნა სერბეთში განვითარებული რევოლუციური პროცესების არაერთი დრამატული მაგალითი.

სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი 2023 წლის 29 სექტემბერს ადვოკატებისა და თარჯიმნების თანდასწრებით გამოიკითხნენ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებლების მიერ, რა დროსაც ისინი შეეცადნენ შეენიღბათ მათი საქართველოში ყოფნის რეალური მიზეზი, მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მათი ჩვენებები ეწინააღმდეგება გამომძიებით მოპოვებულ მტკიცებულებებს და რიგ დეტალებში არის ურთიერთგამომრიცხავიც.

სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი 2023 წლის 30 სექტემბერს გაემგზავრნენ საქართველოდან ბელგრადის მიმართულებით.

წარმოგიდგენთ სინისა სიკმანის, იელენა სტოისიჩის და სლობოდან ჯინოვიჩის მიმართ მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ნაწილს, რომლის განსაიდუმლოება მოხდა პროკურორის მიერ, საქმეზე მზარდი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

აქვე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ორგანიზაცია „კანვასის“ დესტრუქციულ გეგმებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განცხადება წინმსწრებად გაავრცელა მიმდინარე წლის 18 სექტემბერს. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილების და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

26-29 სექტემბერს USAID-ის დაფინანსებით ჩატარებულ კონფერენციას ორგანიზება „კანვას-საქართველომ“ და აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტმა გაუწიეს. ოთხდღიან სწავლებას აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები და ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები ესწრებოდნენ.

ზურაბიშვილმა დამირეკა: 50 ლარი მასესხე, მაკრონთან უნდა ვავიდეო!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:

— ბატონო შოთა, სუს-ის განცხადებაში ითქვა, რომ უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე მყოფი გარკვეული ჯგუფები საქართველოში გადატრიალების მოსაწყობად ემზადებიან.

— გამოდის, რომ უკრაინის ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენ მეგობარ ქვეყანას ვუწოდებთ, ჩვენს წინააღმდეგ რაღაც მზადდება. თუ ჩვენ „სუვერენული“ ქვეყანა ვართ, მაშინ უკრაინის ელჩი უნდა გამოვიძახოთ, საქმის კურსში ჩავაყენოთ და აღნიშნული საქმის ან გამოძიება მოვთხოვოთ, ან მოსალოდნელი საფრთხის აღკვეთა. განცხადების გაკეთებიდან ხელისუფლების მომდევნო ნაბიჯი უკრაინის ელჩის გამოძახება, ნოტას გაგზავნა უნდა იყოს და არა ჩვენი დაზაფრვა. აბა, ჩვენ ხომ არ ვიმოქმედებთ, როგორც დავით ბაქრაძე გვეუბნებოდა: ჩანგლებითა და დანებით დაიცავით თავიო. მაგალითად, ისრაელის ხელისუფლება მსგავს ინფორმაციას რომ იგებდა, ლათინურ ამერიკაში, სადაც ფაშისტები ეგულებოდა, ფარულად სპეციალურ აგენტურას და სპეცრაზმს აგზავნიდა, მათ თვითმფრინავში სვამდნენ, ჩაჰყავდათ ისრაელში, ასამართლებდნენ და ციხეში უშვებდნენ. ეს ადამიანები, ვინც საქართველოში გადატრიალებას გეგმავს, რატომ არ სხედან დღეს ციხეში ან რა ნაბიჯები იდგმება ამისთვის, მე ეს მაინტერესებს.

ჩვენთან რა ხდება: უკრაინის წამყვანი პოლიტიკოსები, თავად პრეზიდენტიც პირდაპირ გვემუქრებიან: რუსეთთან საქმეს მოვრჩებით და თქვენ მოგხედავთო. არადა, ჩვენ მათთვის არაფერი დაგვიშავებია, პირიქით, აქ უკრაინული სკოლები გავუხსენით, მატერიალურად ვეხმარებით. მიუხედავად ამისა, მათი მთავრობის მხრიდან ჩვენს მიმართ უმადური დამოკიდებულებაა. მეტიც, უკრაინელმა სპორტსმენებმა ქართველებს გამარჯვება არ მიულოცეს. ეს არასწორია. ამ დროს, ნახევრად საომარ მოქმედებაში ვიმყოფებით ქვეყანასთან, რომელსაც ვეხმარებით. ჩვენმა მთავრობამ შესაბამისად უნდა იმოქმედოს, ან საერთოდ გავწყვიტოთ მათთან ურთიერთობა. პრინციპში, დიპლომატიური ურთიერთობა აღარც გვაქვს.

— შეძლებს ოპოზიცია, დასავლეთის ჩარევის გარეშე ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროცესი დაიწყოს?

— საარჩევნო წელი მოდის და მტრის ხატის შექმნა ძალიან მოსახერხებელია. ოპოზიცია ხელისუფლებას, კანონს — ყველაფერს რუსულს ეძახის, მმართველი ძალა კი გვეუბნება: ოპოზიცია ქვეყნის გასანადგურებლად ემზადებაო. მათი დაპირისპირების არ მჯერა. „ნაცები მოვლენ“-ს ძახილი აღარ მუშაობს. როდემდე უნდა ვიძახოთ: მგელი მოდისო.

— ბატონო შოთა, ანტიმაიდანის შექმნაზე რა აზრის ხართ?

— ამისთვის საქართველოში შესაბამისი სტრუქტურები არსებობს — თავდაცვის, უსაფრთხოების და სხვა. რისთვის გვჭირდება ანტიმაიდანი, მოქალაქეებმა თავად უნდა დავიცვათ საკუთარი თავი?! მაშინ გავაუქმოთ სახელმწიფო, თუ რა ვქნათ?! თუ არსებობს კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ გადატრიალებას გეგმავს, მისი წევრები ციხეში უნდა ჩავსვათ. ანტიმაიდანი რას ნიშნავს? — მე რა გავაკეთო, თუ ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული გადატრიალება მზადდება, თოფი ავიღო და მათ ქუჩაში ვდიო?! თოფიც აქვთ და ტყვია-წამალიც, დააპატიმრონ, ვინც დასაპატიმრებელია და ამით მორჩება. ანტიმაიდანი არ არის საჭირო, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს.

— ყველაფერი მიმართულია იქეთკენ, რომ საქართველო დამარცხდეს? ლობისტების დახმარებით, ოპოზიცია, ალბათ, იმასაც მიაღწევს, რომ სტატუსი არ მოგვცენ და მერე არეულობა მოაწყონ.

— ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ეს დიქოტომია შენარჩუნდეს და მკვდარი ადგეს. „ნაცმოძრაობა“ უკვე წლებია, ხელოვნურ სუნთქვაზე ჰყავთ. მიზეზი ისაა, რომ ნაცები არჩევნებს საგრძნობლად აიაფებენ. დიახ, ეს საოცრად კარგი ინსტრუმენტია იმისთვის, რომ არჩევნები უფრო იაფი დაჯდეს.

— წელიწადზე მეტია, სტატუსის მონიჭებაზე, 12-პუნქტიანი დავალების შესრულებაზე ვმსჯელობთ. რა არის ასეთი ამ კანდიდატობაში?

— ამაზე არავინ საუბრობს. მართლაც საინტერესო იქნება განმარტება: რისთვის ვიკლავთ ასე თავს, რას გვაძლევს ეს კანდიდატობა, შაქარ-ყინულს დაგვირიგებენ თუ რა მოხდება?! თურქეთს 30 წელია, კანდიდატის სტატუსი აქვს. რა მისცა მას კანდიდატობამ მატერიალური თვალსაზრისით, რა შეიცვალა?! ახლა უკრაინაც კანდიდატია, რაიმე პრეფერენციები მიიღო? თუნდაც ევროკავშირის წევრი გავხდეთ, ეს უსაფრთხოების კუთხით იქნება მნიშვნელოვანი?! სხვა საკითხია ნატო-ში გაწევრიანება, რომელიც შეიძლება, უსაფრთხოების ერთგვარი გარანტი გახდეს. მოქალაქეებისთვის, აი, ამის ახსნაა საჭირო. შეიძლება, კანდიდატობა ბევრ კარგ რამეს იძლევა, რაც არ ვიცი და ხომ უნდა გამაგებინონ. თუ სტატუსს არ მოგვცემენ, ეს კბილებმოცვეთილი დრაკონი „ვავა-მედიდან“ გამოვარდება, თუ რა მოხდება? საშიში დრაკონი ამჟამად მოთვინიერებულია, შინაურია. რეალურად, უკვე ყველამ იცის, ის ვისი დრაკონიც არის.

— უგულავამ, მიშა ცემენტია, რომლის გარეშემოც უნდა გავერთიანდეთო...

— ცემენტი არა, ბეტონი.

— ოპოზიციაში დიდი გაერთიანებები, ალიანსები იკვრება. მიშამ უბრძანა: უწყვეტი აქციები დაიწყეთო...

— ერთი სული მაქვს, აქციებს როდის დაიწყებენ, პირდაპირ ჩემი ფანჯრიდან ვუყურებ ამ ქართული პოლიტიკური ფოლკლორის ანსამბლს. მთელი კვარტალი მათი მუსიკალური ნიჭის მომსწრენი ვართ – სასტვენები, სირენები. ახლა დაემატა დიდი დოლი, რომელზეც გამეტებით უბრახუნებენ. მოკლედ, აქციები დოლ-გარმონის ფონზე, ფშტვენა-ფშტვენით მიმდინარეობს. ძალიან დიადი ხალხია შეკრებილი. ქართველი ხალხი კი ამ დიდი სპექტაკლის შემყურენი ვართ. როგორც ჩანს, პოლიტიკურ ველზე მხოლოდ ესენი უნდა დარჩნენ და სამეფო კარის თამაშები ერთმანეთში სერიალივით გაგრძელდეს. ქართველი ხალხი ცალკეა, თუმცა მას ჰყავს პატრონი — ეკლესია, პატრიარქი და ღმერთი. მთავარი რწმენა, ქვეყნის სიყვარული, ქართული კულტურა და ზნეობრივ მაგალითზე ბავშვების აღზრდაა.

— გვარამიამ, პოლიტიკაში ვბრუნდებიო...

— ნაცთა გვარამის გამოშვებამ სათანადო ეფექტი არ იქონია. ძალიან ცუდი სპექტაკლის მომსწრენი ვართ. ქართველი მაყურებელი, თეატრის იქნება თუ კინოსი, მაღალი დონის პროდუქტზეა აღზრდილი და ასეთ მდაბიო, მდარე გემოვნების დადგმების ყურებას არც იკადრებს. ამ ამბავს მიშას გამოშვებაც არ უშველის. ჩვენ მშვიდად უნდა ვიყოთ და დავაკვირდეთ, როგორ განვითარდება ეს ვამპუკა, რაც ქართული პოლიტიკის ზუსტი განსაზღვრებაა.

— პრეზიდენტის იმპიჩმენტზე რას ფიქრობთ?

— ესეც ვამპუკას ნაწილია. ზურაბიშვილი გადანახული ფულით მოგზაურობს. გაწყდა ქალი წელში. წინა კვირას ფული ჩემგან ისესხა. დამირეკა, 50 ლარი ხომ არ გაქვს, მაკრონთან უნდა ჩავიდე ველოსიპედითო. საწყალ პენსიონერს ასე აწამებენ. რა გითხრათ, ამაზე სერიოზული პასუხი როგორ გაგცეთ.

— რა ხდება რუსეთ-უკრაინის ომში, უკრაინა ომს იგებს?

— რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს ომის კანონების ყველანაირი დარღვევით. ეს ომი დადგმულია. თუ მოწინააღმდეგის განადგურება გინდა, პირველ რიგში, მისი კომუნიკაციები, მარაგები უნდა გაანადგურო, რაც არ ხდება — ევროპაში უკრაინის გავლით ისევ მიდის გაზი, ნავთობი, ხიდები, რკინიგზა არ ფეთქდება, ვაჭრობა მიმდინარეობს, იარაღის წარმოება ორჯერ გაიზარდა. სამაგიეროდ, ადამიანები იხოცებიან. ასეთი ომი არსად მინახავს. ეს ცინიკური ომია. ამერიკის მიერ გამოყოფილი 111 მილიარდიდან 31 — გაქრა!

რაც შეეხება რუსეთს, ბუნებრივია, მას საქართველოში ინტერესები აქვს და შეეცდება, არჩევნების წელს თავისი ვირიც აქ დააბას. იგივეს შეეცდება ყველა პოლიტიკური მოთამაშე: თურქეთი, ირანი, საფრანგეთი და ასე შემდეგ. თავად რუსეთში დასავლეთის ინტერესი ძალიან გამოკვეთილია. ვინც იცის რუსეთის პოლიტიკა, დამეთანხმება, რომ მას სათავეში გამოკვეთილად მედასავლეთე ხალხი უდგას. რუსეთი რუსი პატრიოტების ხელში რომ იყოს, მასთან არავითარი პრობლემები არ გვექნებოდა. საქართველოს გარეშე კავკასიაში რუსეთის ინტერესები დაცული ვერ იქნება. ახლა რა ურთიერთობაშიც იმყოფება რუსეთი საქართველოსთან, ეს მხოლოდ თავად მისთვის (რუსეთისთვის) არის მავნებელი. ვისურვებდი, რუსეთის სათავეში უფრო ადეკვატური ხელისუფლება მოსულიყოს, რომელიც რუსი ხალხის ინტერესებს გაითვალისწინებს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სადაც გათხარა - იქ გამოთხარა

უკვე მართლა ძალიან მომწყინდა იმ სალომე ზურაბიშვილზე საუბარი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტობა სრულიად დაუმსახურებლად დააბერტყა თავზე ერთმა კაცმა და ერთმა პარტიამ, ის კი ამპარტავნულად აცხადებს, ოფიციალურად არ ვარ უფლებამოსილი, მსოფლიოს მასშტაბით ვიწანწალო, მაგრამ რწმენით ვმოქმედებ, მიმაჩნია, რომ ქართველმა ხალხმა მომანიჭა მანდატი და ეს უნდა ვაკეთოო.

რომელმა ქართველმა ხალხმა მიანიჭა მანდატი, რომელ ხალხსაც მიაძახა, აქ რას მომივარდით, პრეზიდენტის სასახლეშიო, ხალხი კი მის იმპიჩმენტს ითხოვდა, თუ მეგაფონით რომ ლანძღავდნენ იმათ? ან იქნებ, გვარამიამ მიანიჭა, რომელიც უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა, მის პირად წარსულს სამარცხვინო კონტექსტში ქექავდა, მან კი შეიწყალა? ორი პოლარიზებული პოლიტიკური ძალაა ამ საწყალ საქართველოში და ორივე მხარე საპრეზიდენტო სკამიდან მის დაუყოვნებლივ მოშორებას ითხოვდა და რომელმა ქართველმა ხალხმა მიანიჭა რაიმე მანდატი, ასე დაუსრულებელი უთავმოყვარეობა რაღა სენია, ნეტავ, საიდან შეეყარა?

კარგი, გავიგეთ, რომ მისი დიდი ბებია ერთი რიგითი მეძავი იყო, მაგრამ რას გადაგვაყოლა მთელი საქართველო თავის საეჭვო გენეტიკას?

ვიფიქრე, აღარ ჩავეძიები, მეც ვინმე გვარამია ხომ არ ვარ-მეთქი, მაგრამ თვით მას არ ასვენებს გამჩენი და მე რაღა მენაღვლება.

მაშასადამე, ნიკო ნიკოლაძის პიროვნებით თავმომწონე ცრუ-სალომეს დიდი ბებიის, ანა მაკაროვას მიერ მიტოვებული შვილი, ნინო მაკაროვა ნიკო ნიკოლაძის სათნო მეუღლემ სადღაც მიბარებული მოიძია და დიდბუნებოვანმა ნიკო ნიკოლაძემაც შვილად აღიარა, მისცა გვარი, კარგი აღზრდა-განათლება და წარმატებით გაათხოვეს იმ დროს ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე, იურისტ ივანე ზურაბიშვილზე. მათ (ნინოს და ივანეს) შეეძინათ სამი შვილი, ვაჟები: არჩილი, გიორგი და ლევანი. გიორგი არის ელენ კარერ ზურაბიშვილის მამა, რომელიც „სოვეტოლოგიის“ დედოფლის სახელით არის ცნობილი და დედით ორლოვაა. მოგეხსენებათ, ძირითადად, დედის ხაზია ბავშვის მეტყველებაში მნიშვნელოვანი. შესაბამისად, რადგან მშობლები განქორწინდნენ და ელენი დედასთან იზრდებოდა, მან არ იცოდა ქართული, რუსი დედის გავლენის ქვეშ იყო. ელენს ჰყავს ვაჟი, ემანუელ კარერი, საფრანგეთში ცნობილი მწერალი.

ბატონები, გურამ შარაძე და იაკობ ახუაშვილი ბევრ საინტერესოს მიამბობდნენ წლების წინათ სალომე ზურაბიშვილსა და ჯანრი კაშიაზე, „300-თა კომიტეტსა“ და „მასონთა ლოჟაზე“. დიდად არ ვაქცევდი ყურადღებას მათ ნაამბობს, მით უმეტეს, წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ ის კი დამახსომდა, რომ ამ ქალბატონმა თავისი ფრანგული კარიერა საკუთარი ბიძაშვილის, ელენე დანკოსის დახმარებით დაიწყო, რომელიც საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის მრჩეველი იყო.

არც იმას ვაქცევდი ყურადღებას, რომ თურმე გარკვეულ პირთა გაერთიანების მიერ საქართველო საექსპერიმენტო ქვეყნად იყო შერჩეული და მავანთა მიერ დაგეგმილი პროექტები უნდა განხორციელებულიყო...

ქალბატონი ელენ ზურაბიშვილ-ორლოვა-კარერ-დანკოსი 90-იან წლებში საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს, შემდეგ კი — მუდმივ სწავლულ მდივნად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საფრანგეთის აკადემიის სათავეში ქალი მოექცა. ელენ კარერ-დანკოსი 23 წლით იყო უფროსი სალომე ზურაბიშვილზე. ის იყო მისი უახლოესი ადამიანი, დამრიგებელი, მრჩეველი, გზამკვლევი და, როგორც ამბობენ, სორბონას უნივერსიტეტშიც მისი მითითებით ჩააბარა და ყველა სამსახურშიც მისი რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა. ელენ კარერ-დანკოსი პუტინის უახლოეს მეგობრადაც მიიჩნეოდა და პუტინს ლომონოსოვის დიდი ოქროს მედლითაც ჰყავდა დაჯილდოვებული.

ეს ისე, რაც გამახსენდა, მაგრამ ეგებ, მართლაც უტყუარ ინფორმაციებს ამხელდნენ პატივცემული ბატონები, მაგრამ არავინ უსმენდა?

ცხადია, იმ დროისთვის საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი თბილად მოიხსენიებდა საკუთარ ბიძაშვილს, ელენს, მინისტრი, რომელიც მოულოდნელად საფრანგეთიდან „გამოგვიცხო“ მტარვალმა სააკაშვილმა. მაშინ ვფიქრობდით, „ევროპებში“ გაზრდილი და გაქექილი ქალი საქართველოს რამეში აუცილებლად წაადგებაო, ვინ წარმოიდგენდა, რომ წაადგებოდა კი არა, თავის ტკივილად გაგვიხდებოდა მისი ჩიქორთული ქართულიც, ქცევაც, ვეტოებიც, შეწყალებებიც და, საერთოდ, ყველაფერი, რასაც გაეკარებოდა.

ქვეყნის პრეზიდენტი ის უპირველესი პერსონაა, რომელიც პატივს უნდა სცემდეს ქვეყნის კონსტიტუციას. ეს ქალი კი, უპირველესად, თვითონვე თელავს ფეხით ქვეყნის კონსტიტუციას და არად დაგიდევს, ვინ რაზე მიუთითებს, რას უკრძალავს და რას არიგებს — მე ასე მინდაო და იქით ქართველ ხალხს ადებს ხელს, ხალხის შეკვეთას ვასრულებო. რომელი ხალხის შეკვეთას ასრულებს, ხმა რომ არ მისცა საპრეზიდენტო არჩევნებში და მხოლოდ იმის გამო გაისარჯა, მეორე ტურში რომ ნაციონალ კანდიდატს არ მოეგო? იმ პატივცემულ გრიგოლ ვაშაძეზე ის მაინც ვიცოდით დადასტურებულად, ვინ იყო და რა საგარეო კურს-ვექტორებსაც „დადებდა“, ეს ხათაბალა ქალი კი აბსოლუტურად არაადეკვატური უთამოყვარეო არსებაა არაჯანსაღი ამბიციებითა და ურცხვობით დახუნძლული.

საინტერესოა, როგორც თვითონ ამბობს, ხალხის მიერ მანდატმიცემული, ხალხის აზრებს არ კითხულობს სოციალურ ქსელში?

მე, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, უხერხულობის განცდა მეუფლება, როდესაც მის შესახებ სრულიად უცნობი ადამიანების შეფასებებს ვკითხულობ, ხშირ შემთხვევაში, ფრიად შეურაცხმყოფელსა და უცენზუროს. არ მინდა, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, მით უმეტეს, ქალი, სალანძღავი იყოს, მაგრამ ჩვენ ხომ მოჯადოებული საპრეზიდენტო სკამი გვაქვს — ვინც მას გაეკარა, ყველას გონება დაებინდა... ყველაზე მსუბუქი შეფასება ასეთი იქნება: მე არ ამირჩევია პრეზიდენტად საქართველოს მოღალატე, გონებაჩლუნგი, გაურკვეველი წარმოშობის გვარამიას ძუკნაო, რა ხასიათზე დადგები ამისი წამკითხველი?

საქართველოს მავნებელ რეზიდენტ-პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ამჯერად ბალტიის ქვეყნებში ვიზიტები უნდოდა და მოითავა კიდეც, ახლა საით გაჰქუსლავს, ნეტავ?

ჯერ საქართველოს მოქალაქეები ითხოვდნენ მის იმპიჩმენტს, ახლა ხელისუფლება ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტი პროცესია, რომელსაც თავისი პროცედურები აქვს და, შესაძლოა, იმდენად გახანგრძლივდეს, რომ მოსწყინდეთ ლოდინი, მაინც ითხოვს, რადგან ქვეყნის კონსტიტუციის დაცვა ღირსების საკითხია. რაც შეეხება რეზიდენტ-პრეზიდენტს, მას სამარცხვინოდ მოისვრიან პოლიტსანაგვეზე!

რეზიდენტმა-პრეზიდენტმა, უცხოური გავლენის აგენტმა, სალომე ზურაბიშვილმა უკვე მერამდენედ შეურაცხყო საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, უხეშად ჩაერია მართლმსაჯულებაში და უღალატა ხალხს, რომ სათვალავი აგვერია!

საქართველოს რიგითმა მოქალაქეებმა დავიზეპირეთ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტი; საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი. და ეს ქალი, საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი რა გახდა ასეთი შეუსმენელი, ვინ აქეზებს ასეთი, რომ არც რაიმეს წაკითხვა უნდა და არც არაფრის შესმენა?!

38-ჯერ აუხსნეს და ერთხელაც ვერ გაიგო. კარგი, მან ვერ გაიგო, ბარი-ბარში ვართ, არც ჩვენ გვესმის მისი ჩიქორთული, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ არც მის ადვოკატებს ესმით?!

კი, ბატონო, განიხილა საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სხდომის თავმჯდომარის, ბატონი მერაბ ტურავას, მომხსენებელი მოსამართლის, ქალბატონ ევა გოცირიძისა და სხდომის წევრების მონაწილეობით, მაგრამ რა შეიცვალა? გნებავთ, ორი კვირის შემდეგ გამოუტანოს სასამართლომ ვერდიქტი, გნებავთ, ორ დღეში. როდესაც პრეზიდენტის ადვოკატები სატატუსაა და უფლებამოსილება-კომპეტენციას ვერ განასხვავებენ, რაღა უნდა თქვას ადამიანმა? ალბათ, ის, რასაც თვით სალომე იტყოდა: რაც იქნება-იქნება, ყველაფერი კარგად იქნება!

სალომე ზურაბიშვილმა სამომავლოდ ისე იხეირა საკუთარი ოჯახის წევრების სასარგებლოდ, მართლა რომ შესაძლებელი იყოს მისი გადაყენებ-გადმოყენება, შებღალულ სახელს არაფრად დაგიდევთ? მავრმა საქმე შეასრულა და ახლა სად წავა, როდის წავა და რა იქნება, ხომ ფაქტია, რომ სრულებითაც არ ანაღვლებს?

ისე, რა საკვირველად აეწყო მისი პოლიტიკური კარიერა? ჯერ უეცრად მოგვევლინა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად ისე, რომ არავინ იცოდა, საიდან დაგვეცა თავზე; შემდეგ, იფაფხურა, იფაფხურა და პოლიტ-კულისებში მიიმალა; გამოხდა ხანი და არავის რომ აღარ ახსოვდა, სად გაქრა ეს ქალი, ნაფტალინიდან ამოღებული პრეზიდენტად მოგვევლინა, ხალხს არ აურჩევია, აიღეს და პრეზიდენტად დაგვიდეს. ვინ, რა ძალები აღმოჩნდნენ მის ზურგსუკან? რა თამაში ათამაშეს იმთავითვე? სააკაშვილის ნამინისტრალი ქალი, მერე რა, რომ თითქოს განუდგა სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, ახლიდან ვინ დააბრუნა, რატომ შემოაგდო ხელმეორედ პოლიტიკურ არენაზე და ამჯერად უკვე ე.წ. რადიკალური ოპოზიციის პრეზიდენტად? საქართველოს მოსახლეობის პრეზიდენტი რომ არ არის, ვხედავთ, „ნაცმოსა“ და საეჭვო რეპუტაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების პრეზიდენტია მხოლოდ და, შესაბამისად, მათვე მასპინძლობს ორბელიანების სასახლეში და მათ ებაასება, მათთან იფიცება, რომ საქართველოსთვის იღვწის, საქართველოს ევროინტეგრაციაზე აბოდებს და სიხარულით აღარ არის საქართველოს ევროპის კართან დგომით. რუსეთი ცუდია და არ შეიძლება, რუსეთი საქართველოს მომავალი იყოს. რუსები — მაკაროვები და ორლოვები თავისკენ მოიკითხოს, ჩვენ რას გვიკიჟინებს, ნეტავ? მცირე ხნის წინათ ევროკავშირის წევრობის ღირსები არ ვიყავით და ახლა რატომ ამოატრიალა პლასტინკა, ეჭვი აქვს, რომ კანდიდატის სტატუსს მოგვცემენ და საკუთარი პერსონის ჩაკვეხება უნდა, ვითომ მუხლჩაუხრელად იღვწოდა და ისე გაისარჯა, რომ სტატუსი მისი ხათრით მოგვცეს?

დონალდ ტუსკის თქმით, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, პოლონეთის მმართველი პარტია პოლონეთს ევროკავშირიდან გაიყვანსო: სლოვაკეთსაც აღარ უნდაო... ეტყობა, სანამ მთლად დაეშლებათ, რა დროს 12 პუნქტიაო და გამოთავისუფლებულ ადგილზე საქართველოს „ჩადებენ“. კი, მაგრამ, ვინც ევროკავშირის წევრია, ის რომ გარბის იმ რაღაც კავშირიდან, ჩვენ რატომ მიველტვით ასე ფანატიკურად? ალაგ-ალაგ კიდევ რამდენიმე წევრი ქვეყნის დაქადნება მოვისმინეთ, თუმცა ისინი როგორღაც გააჩუმეს. დიდმა ბრიტანეთმა რომ დატოვა ევროკავშირი, მოკლედ მოგვახსენა, რაშიც იყო საქმე, ევროკავშირის წევრობა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდაო და არც ეს გავიგეთ, რა გვჭირს ასეთი შეუსმენელი ჩვენი პრეზიდენტებივით?

ევროკავშირის დაშლის პროცესი დაწყებულია, მხოლოდ დროის ამბავია და არცერთი გონიერი ქვეყანა არ დარჩება მის კავშირში, ჩვენთვის სტატუსის მოცემა კი მხოლოდ პოლიტიკური ვაჭრობა-სპეკულაციის პროცესია ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ და არა მხოლოდ მათ წინააღმდეგ. ასე იქნება სხვა ხელისუფლებების დროსაც, გააჩნია, რამდენად გაიტანენ თავისას.

ბორელმა რომ თქვა, ევროპა აყვავებული ბაღნარია, დანარჩენი მსოფლიო კი ჯუნგლებიო, ეტყობა, ძალიან სჯერათ მავანთ მისი ამ სიტყვებისა და არ უნდათ ჯუნგლებში...

ნინო დაუშვილი

სალომე ზურაბიშვილი ანტისახელმწიფოებრივი ელემენტია

მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს პოლიტოლოგი გია აბაშიძე.

- ბატონო გია, ცოტა ხნის წინ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გაშიფრა „ნაციონალური მოძრაობის“ სამოქმედო გეგმა, რის მიხედვითაც ისინი „მაიდანის სცენარს“ გეგმავდნენ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ვერ მიიღებს. გეგმა კი გაიშიფრა, მაგრამ საფრთხე მათი მხრიდან აღარ არსებობს?

- „ნაციონალურ მოძრაობა“, ქვეყნის მტერი, ნებისმიერი ხერხით ცდილობს ხელისუფლებაში დაბრუნებას, მაგრამ აქ არის ერთი ტრაგიკული კომპონენტი -მათ უყვართ სისხლისღვრა და რადგან ეს 7-9 მარტს არ გამოუვიდათ, ვერ მოაწყვეს ეგრეთ წოდებული ჭყლეტა, რომ მსხვერპლი გვყოლოდა და შემდეგ ეს ხელისუფლებას დაბრალებოდა, ეძებენ მომენტს, იქნებ, როგორმე თავიანთი ბოროტული ჩანაფიქრი განახორციელონ. არავის, არც ერთ გონიერ ხელისუფლებას არ უღირს თუნდაც ერთი ახალგაზრდის, ერთი ადამიანის სიკვდილი ხელისუფლებაში ყოფნის ფასად, მაგრამ ამას გაიძვერა, სისხლის მოყვარული „ნაცმოძრაობა“ ვერ გაიგებს. რაც სუს-მა გააკეთა, ეს არის აისბერგის წვერი. რასაკვირველია, მათ იციან, რომ ქვეყანაში გადატრიალება იგეგმება, თუმცა, სუს-ის საჯარო განცხადება იმის მეათედსაც კი არ ასახავს, რაც რეალურად ხდება. რეალობა უფრო მძიმეა, რასაც ჩვენ ვხედავთ საჯარო სივრცეებში, ტელევიზიებში, „ნაცმედიებში“ და ასე შემდეგ. მადლობა ჩვენს სამართალდამცველებს, რომ ყველაფერს აკონტროლებენ და ხელი უდევთ ქვეყნის პულსზე. ასეც უნდა იყოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე და აღკვეთოს არამხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ, ქართული სახელმწიფოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმდინარე აქტივობები.

სამწუხაროა, რომ ამ ბინძურ თამაშში ჩართულია ქვეყნის პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. იგი ვერ აცნობიერებს, რომ ვინც ქართულ სახელმწიფოს ეწინააღმდეგება, ის ეწინააღმდეგება არამხოლოდ სამართალდამცველებს და ხელისუფლებას, არამედ ქართველ ერს, რომელიც „გადატრიალებას“ არ დაუშვებს. გვახსოვს, რაც ხდებოდა 90-იან წლებში, მაგრამ ეს საქართველოში აღარ განმეორდება.

- როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტმა საზღვარგარეთ თვითნებური ვიზიტებით სანქციების თემა „გააცოცხლა“, თორემ საქართველოს აღარავინ სთხოვდა სანქციების დაწესებას...

- სამწუხარო რეალობაა, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ანტიქართულ მოქმედებას ეწევა, რაც თავადაც არ დამალა სხვადასხვა მედიასივრცეში. აბსოლუტურად მართებული იყო საქართველოს ხელისუფლება, როდესაც მას საზღვარგარეთული ვოიაჟები აუკრძალა. სრულიად აპოლიტიკური ელექტორატიც ხვდება, რომ სალომე ზურაბიშვილი არის ნაძირალა, ბუნებით მოღალატე ადამიანი, ის არის ოფიციალურად „ომის პარტიის“ წარმომადგენელი, მაგრამ ჩნდება კითხვა: რად ულირს მას, რომ ასეთი სამარცხვინო პოლიტიკური პერსონაჟი იყოს?!

კონსტიტუციის მიზანმიმართულად დამრღვევი პრეზიდენტი ყოველდღიურად თავხედურად ამტკიცებს, რომ „აგენტოკრატიის“ ყურმოჭრილი მონაა. ასეთი რა ვალი აქვს „გლობალური ომის პარტიისა“, რომ საკუთარ სახელმწიფოს უპირისპირდება არაფრისმომცემი საზღვარგარეთული პირადი ვოიაჟებით, - ეს უცნობია!

„აგენტოკრატიის ვასალი“,ზურაბიშვილი უცხოეთში აღვივებს ახალ მავნებლურ მესიჯს ევროკავშირის სტატუსის ჰიპოთეტურ არმონიჭებაზე - ვითომ საქართველო არ ასრულებს საერთაშორისო სანქციებს. წარმომიდგენია, რა საუბარი ჰქონდა ლატვიის პრეზიდენტთან, ედგარს რინკევიჩსთან, რომელმაც მედიასთან ფარისევლურად, უტიფრად განაცხადა, რომ თურმე საქართველო უნდა შეუერთდეს ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. არადა, საქართველო პირნათლად ასრულებს რუსეთზე საერთაშორისო სანქციების რეჟიმს, რაც, რამდენიმე თვის წინ თბილისში მყოფმა სანქციების მთავარმა კურატორებმა აშშ-იდან და ბრიტანეთიდან, აღიარეს. სხვა დანარჩენი კი არის უტიფარი ლაყბობა.

- თუმცა, თუ ჩვენი „დაუძინებელი მეგობრების“ შენიშვნებს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოცხადებულმა იმპიჩმენტმა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაში ხელი შეგვიშალოს და საქართველო, ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა სამეულში, ამჯერადაც სტატუსის გარეშე დარჩეს...

- თუ ბრიუსელმა ამჯერადაც გადადო სიმბოლური სტატუსის მონიჭების საკითხი, გამოდის, რომ ევროკრატებს სურთ საქართველოში დესტაბილიზაცია, ვერ აცნობიერებენ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას, მათ შორის ჩინეთისა და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას და კრემლის ანტიდასავლურ პროპაგანდას უწყობენ ხელს. სტატუსი უნდა მივიღოთ დამსახურებულად, რაზეც ზეაქტიურად მუშაობენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და მმართველი გუნდი.

სალომე ზურაბიშვილი მოწოდებით ანტისახელმწიფოებრივი ელემენტია და ამას არც თვითონ მალავს. როგორც რიგითი ამომრჩეველი, მოვუწოდებ მმართველ გუნდს, რაც შეიძლება მალე აღკვეთონ პრეზიდენტის ანტიკონსტიტუციური ქმედებები. დაუშვებელია, ასეთი პოლიტიკური აქტორი ლავირებდეს ქვეყნის სახელით.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიკა გვარამია პოლიტიკაში მოდის, თუმცა რა მისია ექნება მას „ნაცმოძრაობაში“, ჯერ უცნობია.

- ნიკა გვარამია, დიდი ხანია, პოლიტიკაშია. არ აქვს მნიშვნელობა, ის ციხეში იჯდა, პოლიტიკური ტელევიზიის ხელმძღვანელი იყო... ის ერთ-ერთი შემოქმედია იმ პროცესებისა, რაც საქართველოში მიმდინარეობს. გლობალურმა ომის პარტიამ „ნაცსექტანტებს“ დაავალა ოპოზიციური სპექტრის ფართოდ გაშლა, თუმცა რანაირად და როგორ, ეს თავად ინსტრუქციის გამცემმაც არ იცის, რადგან ბოლომდე ვერ ერკვევა ქართული საზოგადოების რეალურ განწყობებსა და სურვილებში. თანაც საფუძვლად იყენებს არჩევნების შედეგებს მუდმივად აცდენილ ენ-დი-აი-სა და აი-არ- აი-ს ეგრეთ წოდებულ სოციოლოგიურ კვლევებს. ზოგადად, ამ ამერიკული ორგანიზაციების გამოკითხვები სხვაგან არ ამახინჯებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობის სახეს, თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, საველე სამუშაოების შემსრულებლები „ნაცსექტანტებთან“ აფილირებული პერსონაჟები არიან.

“ნაციონალურ მოძრაობის” ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია აცხადებს, რომ პარტიაში მძიმე რეალობაა და ბევრ საკითხთან მიმართებაში ფუნდამენტური განსხვავებაა. მისი თქმით, თუ დარწმუნდება, რომ ერთად ყოფნა, ერთი პარტიის ნომრის ქვეშ მოქმედება შეუძლებელი იქნება, სხვა პლატფორმიდან მოუწევს ბრძოლა.

„აგენტოკრატთა“ ვასალებში ორჭოფობაა იმაზე, რეალურად დატოვებს თუ არა ნიკა მელია „ნაციონალურ მოძრაობას“, შექმნის თუ არა ახალ რაღაც პოლიტიკურ წარმონაქმნს და თუ შექმნის, ვისთან ერთად?! საკითხავია, თავად მელიამ და მისმა ანტურაჟმა თუ იცის, დააფუძნებენ რამეს ომის პარტიის ახალი, ურეიტინგო ბრენდით, თუ შეუერთდებიან რომელიმე ეგრეთ წოდებულ მესამე, ანუ კომიკურ ძალას, მაგალითად, სერტიფიცირებული თაღლითების, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის „ლელოს“ ?! თავადაც ხომ ხვდებიან, რომ ნულ-ჯამოვანი პოლიტტექნოლოგიური თამაშია რეიტინგების ვითომ გაზრდის დაუოკებელი, მაგრამ ფუჭი სურვილი? ან იქნებ, „ქურქუმალ-ვალინკი-ვაით“ ხაბეიშვილის მიერ ვითომ დევნილი მელია ასეთივე სუპერარარეიტინგულ

ნინო ლომჯარიას „საქართველოს ევროპულ ორბიტასთან“ ერთად „ჩაპლატფორმდება“? - ვნახოთ...

მიუხედავად იმისა, რომ ნიკა გვარამიას მუდმივი ოპონენტი ვარ, ვიტყოდი, რომ გვარამია საჭიროა ახლა „ნაცმოძრაობისთვის“, რადგან არ შეიძლება, მოცემულ მდგომარეობაში, პარტიას ასეთი უვიცები, „გოიმები“ ჰყავდეს სათავეში. არ შეიძლება, ხაბეიშვილი მართავდეს მიშა სააკაშვილის მიერ დაფუძნებულ პარტიას. თუმცა, რასაც უნდა აპირებდეს ნიკა გვარამია, „გადატრიალება“ არ გამოუვა. კი ბატონო, გახდეს თუნდაც „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელი, მაგრამ „გადამტრიალებლები“ ესენი ვერასდროს იქნებიან და ვერც ვერასდროს დაბრუნდებიან ქართული სახელმწიფოს სათავეში.

- თქვენი აზრით, მაინც, რისთვის სჭირდება „ხაბე“, ეს კომიკური ფიგურა, „ნაციონალურ მოძრაობას“?

- ხაბეიშვილის ეგრეთ წოდებული გაპიარება მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დაბალ დონეზეა მისი სპონსორი, ძებნილი ოლიგარქი კეზერაშვილი. წარმოუდგენელია, რომ ხაბეიშვილს ამომრჩეველი გაჰყვეს, როგორი „მიშმადიდებელიც“ უნდა იყოს ის, მაგრამ რეალობა ისაა, რომ ძებნილ კეზერაშვილს სჭირდება უღირსებო მონები და ამ როლს ასრულებს ლევან ხაბეიშვილი. „ნაცმოძრაობის“ გულშემატკივარი მე ვერასდროს გავხდები, მაგრამ მათი „მიმდევრებისთვის“ სამწუხაროა, რომ ხაბეიშვილი არის დღეს აქტუალური თემა, ისევე, როგორც - ნიკა მელია. 2024 წლის არჩევნებზე რა რეალობის წინაშე აღმოჩნდებიან ხაბეიშილი და მელია, ამას ამომრჩეველი გვიჩვენებს, ვის მისცემენ ხმას მათი „მიმდევრები“ - ნომერ 5-ს თუ ნიკა მელიას ახალ საარჩევნო ნომერს? თუმცა, საკაშვილის რევანშისტული კონგლომერატი არჩევნებზე არ არის ორიენტირებული. მთავარია, საქართველოში ნებისმიერი მიზეზ-საბაბით სიტუაციის აყირავება და ხელისუფლების წყობიდან გამოყვანის მცდელობა, რათა ასეთ ჰიპოთეტურ შემთხვევაში, ომის პარტიის უცხოელი აქტორები აააყინონ გამოგონილ ავტოკრატიასა და დიქტატურაზე.

თუმცა, ეს იაფფასიანი მძაფრსიუჟეტიანი შაპიტო-სერიალი უკვე ნანახი გვაქვს, შესაძლოა, სცენარი ოდნავ შეცვალონ, ვითარება ვითომ გაამძაფრონ, მაგრამ ეპილოგი იგივე იქნება - „ნაცრადიკალები“ ჩვენს საზოგადოებასთან წაგებული დარჩებიან.

- მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა „მაიდანის სცენარი“ გაშიფრა, ალტ-ინფომ მის საპირისპიროდ, სახელმწიფო გადატრიალების აღსაკვეთად „ანტიმაიდანი“ დააანონსა. მათი განზრახვის მიუხედავად, ეს კიდევ ერთი პროვოკაცია ხომ არ იქნება ქვეყანაში დესტაბილიზაციის შესაქმნელად?

- ზურა მახარაძისა და მისი მომხრეების სულისკვეთებაა, რომ ეგრეთ წოდებული მაიდანი არ ჩატარდეს საქართველოში, მათ მხარს უჭერს 150 ათასი ადამიანი, თუმცა, საქართველოს “მაიდანიზაციას” ვერანაირად მიაღწევენ ჩვენი მტრები ვერც შინ, ვერც გარეთ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც არ აეის პოლიტიკური აქტორი, მოწოდების სიმაღლეზეა და დიდი იმედი მაქვს, ეგრეთ წოდებული ანტიმაიდანის გარეშეც, ჩვენი სამართალდამცველები აღკვეთენ ნებისმიერ ობსტრუქციულ ქმედებას და „ომის პარტია“ ქართველ ხალხს ვეღარაფერს დაუშავებს. მეტიც, ჩვენს საამაყო აპოლიტიკურ სამართალდამცველებს აქვთ საზოგადოების ჯანსაღი უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა და არ დაუშვებენ უგვანო ნაცმარგინალების მხრიდან სიტუაციის არევას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს ყველამ, რომ ჩვენ გვინდა მშვიდობა და მშვიდობიანი განვითარება. დანარჩენად, ვის რა აწყობს, - არ გვაინტერესებს. საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების მომხრეა.

უნდა ახსოვდეს ყველას, რომ ჩვენ გვაქვს მთავარი მიზანი, - ჩვენი დაკარგული ტერიტორიების ინტეგრაცია საქართველოში და ეს მიზანი შესრულდება მშვიდობიანად. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი ფორმით იქნება ეს, მთავარია, მშვიდობიანად დავიბრუნოთ სოხუმი და ცხინვალი.

ნონა ქარქაშაძე

პოლიტიკა ვაჭრობაა უკეთესი რეალობის შესაქმნელად

ნომრის სტუმარია მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი თამარ ჩიბურდანიძე.

- ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ, რომ ქვეყნის პირველ ოპოზიციად წოდებული „ნაცმოძრაობა“ სისხლიანი ბუნტისთვის ემზადება და სახელმწიფო „გადატრიალებას“ აპირებს. ახლა, როცა მათი გეგმა გაიშიფრა, უნდა ველოდოთ თუ არა რეალურ საფრთხეს ამ ადამიანებისგან?

- რევოლუციის გეგმა რეალურია, თუმცა, პოლიტიკური გუნდი, რომელსაც აქვს არჩევნებში ხალხის მხარდაჭერის იმედი, რევოლუციური გზით არ მიდის. არ დაგვჭირვებია კარვები 2012 წელს, ისე მოვუგეთ არჩევნები სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს. მსოფლიო წინ მიდის, მათ შორის, პოლიტიკური ბრძოლის ფორმებითაც, ჩვენი ოპოზიცია კი ისევ წარსულში ჩარჩა. კარვები, ლეიბები და ქუჩის საბოტაჟი წარსულის მეთოდებია და არსად შედეგი არ მოუტანია, მათ შორის, არც საქართველოში. სააკაშვილის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი მიზანი ჰქონდა - დესტაბილიზაცია, სიტუაციის არევა და რევოლუციის გზით ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. ახლა კი, უმნიშვნელოვანესი არჩევნები გვაქვს წინ 2024 წელს, და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქართველი ხალხი მოატყუონ, გააკეთებინონ მოტყუებით არჩევანი, მაგრამ მათი ტყუილების საზოგადოების უდიდეს ნაწილს აღარ სჯერა.

ბიძინა ივანიშვილმა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ახალი, კულტურული და მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის წესები დაამკვიდრა. ეს არის ხალხის დარწმუნება სიმართლეში და არჩევნების მშვიდობიანი გზით მოგება, რაც მხოლოდ ძლიერ და ხალხისთვის ანგარიშგასაწევ ძალას შეუძლია. ქართული ოპოზიცია კი არც ერთია და არც - მეორე. აღარც ახალი სახეები ჰყავთ, რომ ხალხის ახლებურად მოტყუება შეძლონ, ამიტომ ცუდ დღეში არიან. ერთადერთი გზა რჩებათ - უცხოელი ლობისტებისა და უკრაინელი მებრძოლების დახმარებით, რევოლუციის მოწყობა, რის საშუალებასაც ხელისუფლება არ აძლევთ.

როგორც ჩანს, უსაფრთხოების სამსახურს ბევრად უფრო მძაფრი ინფორმაცია აქვს ოპოზიციის მზაკვრულ გეგმებზე, რასაც ნაწილობრივ ვხედავთ კიდეც. მიუხედავად მათი გეგმებისა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ამ ოპოზიციას არ გაჰყვება და ასევე მწამს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სამსახური ყველაფერს გააკეთებს მათი მზაკვრული გეგმის გასანეიტრალებად. უცხოური გრანტების საშუალებით განსაკუთრებით სერიოზულად „ნაცმოძრაობა“ „სტუდენტებზე“ მუშაობს, მაგრამ ამ სტუდენტებშიც მათ წინააღმდეგ განწყობილი გაცილებით მეტია, ვიდრე მხარდამჭერი. რევოლუციური სცენარის დაგეგმვას, ურჩევნიათ, ჩვენს გზას გაჰყვნენ და ხალხთან იმუშაონ, დაარწმუნონ თავიანთ სიმართლეში, თუკი სიმართლე მათ მხარესაა.

რატომ ეშინიათ ამ არჩევნების? - ორი მიზეზის გამო, რადგან იციან, რაც ბოლო არჩევნებზე აიღეს, იმდენ ხმასაც ვეღარ აიღებენ და მეორე - როდესაც საკუთარ ამომრჩეველს აიძულებდნენ, რომ შემოეხაზათ 5-იანი და მისთვის ფოტო გადაეღოთ, ეს აღარ გაუვათ, რადგან ელექტრონული არჩევნებია. მათ წინასწარ იციან საკუთარი შედეგები და ამიტომ უნდათ, წავიდნენ რევოლოციური გზით. ვინც ძლიერია ხალხთან, ვინც მართალია ხალხის წინაშე, ვისაც სჯერა ხალხის ნდობის, მას რევოლუცია არ სჭირდება ხელისუფლებაში მოსასვლელად.

- როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, პრეზიდენტმა თავისი ვიზიტებით სანქციების თემა გააცოცხლა. თქვენ როგორ მიიჩნევთ, სალომე ზურაბიშვილის თვითნებური „ვოიაჟი“ უფრო მეტად აზიანებს ქვეყანას, თუ მის წინააღმდეგ გამოცხადებული იმიჩმენტი, კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში?

- რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ვიზიტები. **ევროპის უდიდეს სახელმწიფოებს, მსოფლიოს გავაგებინეთ ჩვენი სიმართლე და სანქციების თემა დაიხურა და იმ დროს, როდესაც უკვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა რუსეთისთვის სანქციებს ამსუბუქებს, სხვადასხვა მიმართულებით, ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით...** სალომე ზურაბიშვილი ჩადის ბალტიისპირეთში და აცოცხლებს „მკვდარ“ თემას, რომელიც დღეს არც ევროპას სჭირდება და არც ამერიკას, სჭირდებათ მხოლოდ სააკაშვილის მხარდამჭერებს, იმ პოლიტკურ პარტიას, რომელსაც ხელში უჭირავს ქართული ოპოზიცია და თავიანთ ჭკუაზე ატრიალებენ. საბედნიეროდ, ევროპამაც გაიღვიძა. ევროპა დღეს სულ სხვაა, ვიდრე იყო ერთი წლის წინათ და უკვე არც იქ მუშაობს მოძველებული თემები.

რა საჭიროა პრეზიდენტის ვოიაჟები, რომელიც არაფრის მომცემია, გარდა იმისა, რაც ჩამოიტანა ბალტიისპირეთიდან, რომ თურმე საქართველო ყველა სანქციას უნდა შეუერთდეს. ევროპელი ლიდერები არც კი გამოეხმაურნენ მის სულელურ ინიციატივას. მე არ ვიცი, სალომე ზურაბიშვილი კიდევ სად გაფრინდება, მაგრამ იმას კი ვხედავთ, რომ მისი არცერთი ვიზიტი, სააკაშვილის მხარდამჭერი პოლიტიოსების გარდა, არავის აინტერესებს.

- არაერთხელ გითქვამთ, რომ საქართველო უფრო სჭირდება ევროპას, ვიდრე ჩვენ - ევროკავშირი. სულ ახლახან კი დაახლოებით იგივე განაცხადა რადიო „თავისუფლების“ ევროპის ბიუროს ჟურნალისტმა იოზვიაკმა. მისი ვარაუდით, საქართველო კანდიდატის სტატუსს მიიღებს, რადგან ევროკავშირი დაინტერესებულია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობით და ხელიდან მის გაშვებას არ აპირებს...

- დიახ, ახლაც იმავეს ვიტყვი, რომ ევროპას დღეს მეტად სჭირდება საქართველო, როგორც დასაყრდენი კავკასიაში. ევროკავშირს სჭირდება საქართველო აღმოსავლეთთან - ყაზახეთთან, ჩინეთთან, ინდოეთთან ურთიერთობისთვის, რადგან ყველა ხედავს, რომ უძლიერესი ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ჩინეთის გამავალი გზა არის, ძირითადად, საქართველო. ამიტომ, როცა პოლიტიკოსი ხარ და ხედავ, რომ შენს ქვეყანაზე არის მოთხოვნა, თავჩაქინდრული და შეურაცხყოფილი კი არ უნდა ეხვეწებოდე ვიღაცას, რომ მიგიღოს, არამედ ხარ ამაყი, **რადგან შენზე დაჯდა დღეს პოლიტიკური კამათელი**. რა თქმა უნდა, შენ გჭირდება ევროპა, მაგრამ მასაც სჭირდები! მას კიდევ უფრო მეტად სჭირდები. აქედან გამომდინარე, მჯერა, რომ ევროპა აღარ დაუშვებს შეცდომას და გადაირჩენს საკუთარ თავს, უპირველეს ყოვლისა, რადგან დღეს თვითონ ეს კავშირია გადასარჩენი. ევროკავშირმა ამ საუკუნის პოლიტიკაში ბევრი რამ გააკეთა მსოფლიოში. დიდი პოლიტიკური ტვირთი იტვირთა, კარგად იმუშავა და დღეს სწორედ საკუთარი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ საქართველო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. ამიტომ, როდესაც ხედავ ამ რეალობას და, მით უფრო, ბევრად

წინ ხარ ნორმატივების შესრულების თვალსაზრისით, ვიდრე უკრაინა და დსთ-ის წევრი სახელმწიფო მოლდოვა, რატომ უნდა ეხვეწო, რატომ უნდა დაიმცირო თავი, რატომ უნდა გაუწვე ფეხქვეშ ვინმეს, რომ ევროკავშირში მიგიღონ? - არა, არ შეიძლება, საქართველო ხოხვით შევიდეს სადმე. საქართველო ევროკავშირში უნდა შევიდეს ამაყად, ღირსეულად, ისე, როგორც დავიმსახურეთ.

- ჩვენ ვნახეთ, რომ ცოტა ხნის წინ ეროვნულმა ბანკმა არ დაუშვა უცხო სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს საბანკო საქმიანობაში ჩარევის პრეცედენტი, რასაც კვლავ მოჰყვა ოპოზიციის მხრიდან ხმაური და რის გამოც სამმა თანამშრომელმა დატოვა ეროვნული ბანკი. ამ ფაქტს როგორ შეაფასებდით?

- ეროვნულმა ბანკმა ისეთი სვლა მოუგო ოპოზიციას, ალბათ, ჯერ კიდევ ვერ მოდიან აზრზე. ეროვნული ბანკი იყო საქართველოში ასაფეთქებლად გამზადებული ძალიან დიდი ბომბი. მათ დაასანქირეს ფარცხალაძე, მაგრამ, როგორც ჩანს, უნდოდათ კიდევ სხვა მოქალაქეების დასანქციება. ეს პროცესი არ შეჩერდებოდა, მალევე მიადგებოდნენ ყოფილ პოლიტიკოსებს და ბიზნესმენებს. ფარცხალაძე იყო მხოლოდ დასაწყისი და ჩაკეტა ხელისუფლებამ ეს გზა, ვეღარ მიდიან იქით. ამით განუცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ მის კანონზე უპირატესი არის ჩვენი შიდა კანონი - ჩემმა სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება და კი ბატონო, დაასანქცირეთ! ძალიან სწორი სვლა გააკეთა ხელისუფლებამ, მაგრამ ორი დღის განმავლობაში, ვიდრე ეს აჟიოტაჟი იყო ეროვნული ბანკის ირგვლივ ატეხილი, თუ გადახედეთ სოციალურ ქსელს, ამერიკაში მცხოვრები ოპოზიციის მხარდამჭერი ქართველები მოუწოდებდნენ ხალხს, სასწრაფოდ გაეტანათ თანხა ბანკებიდან, რადგან, თურმე, საბანკო სისტემა ჩამოიშალა საქართველოში. ამ ორდღიანი პანიკის შედეგად, დოლარის კურსმა საგრძნობლად აიწია, მაგრამ ამის დარეგულირება შეძლო ხელისუფლებამ. ბომბის აფეთქება უნდოდათ ქართული ეროვნული ბანკისთვის და ძალიან ბევრ ბომბს დაუდებენ კიდევ ქართველ ხალხს! მათ ჰგონიათ, რომ ხელისუფლებას ებრძვიან, მაგრამ სინამდვილეში, საკუთარ ხალხს და საკუთარ ქვეყანას ებრძვიან, თუმცა, ხალხი კარგად ხედავს, რომ ეს ოპოზიცია ყველაფერზე წამსვლელია და ამის პასუხს ისინი აუცილებლად მიიღებენ 2024 წლის ოქტომბერში. ამომრჩეველი ძალიან მშვიდად მივა არჩევნებზე და მისცემს ხმას მას, ვინც ყველა ამ უბედურებას გადაარჩინა.

- რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ თითქოს ახალი მსოფლიო პოლიტიკა ჩამოყალიბდა, ბევრი რამ გადაფასდა და ბევრმა ქვეყანამ თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. მაინც, რა შეცვალა ამ ფაქტმა მსოფლიოს პოლიტიკურ რეალობაში?

- მე ამ ომს უფრო რუსეთ-ამერიკის ომს დავარქმევდი, რის შედეგადაც ევროპა გაიჭყლიტა და უკრაინა განადგურდა. დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკას არაოფიციალურად ამერიკა მართავს. ტრამპის ფიგურა ისეთი ძლიერი იყო ამერიკის ხელისუფლებაში, ვერავინ იმორჩილებდა, მას სხვა პოლიტიკა ჰქონდა, ის იყო ერთ-ერთი საუკეთესო პრეზიდენტი, რომელმაც შექმნა უძლიერესი ამერიკა. თუმცა, როგორც ჩანს, ტრამპს ვერ

13 გვ.

მოლოტოვის კოქტეილი ომშიც აკრძალულია

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, სუს-ის განცხადებიდან ორმოცდარვა საათიც არ იყო გასული, ოპოზიცია ქმედებებზე გადავიდა. რისთვის ემზადებიან?

— დღევანდელი ოპოზიციის არსებობის არსი არა განსხვავებული აზრის, პოზიციის დაფიქსირება და ამ მიმართულებით ბრძოლაა, არამედ მისი მთავარი ფუნქცია ქვეყანაში დესტაბილიზაცია, სახელმწიფოს ჩამოშლა, ხელისუფლების დამხობაა, რათა ასეთ პირობებში ამ აგენტოკრატიას ხელისუფლებაში მოსვლა გაუადვილდეს. ანუ, ოპოზიციის მიზანი სწორედ დესტაბილიზაციაა და სხვა არაფერი. 2012 წლიდან, რაც ძალაუფლება დაკარგეს, ამისთვის იღვწიან. ქართველმა ხალხმა მათ ფაშისტური, სისხლიანი რეჟიმი უწოდა. დღეს ნაცების გარშემო არაერთი პარტია ერთიანდება. თუ ქვეყნისთვის კარგი გინდა, ჯანსაღ ოპოზიციას წარმოადგენ და ქვეყნის უკეთეს მომავალზე ფიქრობ, როგორ უნდა ითანამშრომლო მასთან, ვინც სისხლის კალოები დააყენა.

— სუს-ის განცხადების მერე ოპოზიციის მხრიდან იარაღის გამოყენებაზე მზაობაც გაჟღერდა...

— ამ განცხადების საფუძველზე, შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, წესით, დროული რეაგირება უნდა მოახდინონ და გამოძიება დაიწყონ, რაც უკვე დაწყებულია, დაკითხვებზე სერბი მოქალაქეები დაიბარეს. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. ამიტომ ბუნებრივია, ეს განცხადება საფუძველს მოკლებული არ არის. განა მოლოტოვის კოქტეილები, რაც ოპოზიციამ ერთხელ უკვე გამოიყენა, იარაღი არ არის?! სხვათა შორის, მოლოტოვის კოქტეილების გამოყენება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აიკრძალა. დიახ, მათი გამოყენება ომშიც კი არ შეიძლება, ოპოზიციამ კი ის „მშვიდობიან“ მიტინგზე გამოიყენა და როგორ ფიქრობთ, ეს ხალხი სხვა იარაღის გამოყენებას მოერიდება? — რა თქმა უნდა, არა. ეს საფრთხე არსებობს, ზედაპირზეა, ხელისუფლებამ მოქმედება დაიწყო. ჩემთვის გასაგებია, რომ გამოძიება საიდუმლო პროცესია და არა საჯარო. გამოძიების მიმდინარეობის ტრანსლირებას, პირდაპირ ეთერში ინფორმაციის მოწოდებას არ ვითხოვთ, მაგრამ გარკვეული ინფორმაცია უნდა გვქონდეს.

— ნაცებს, მათ პატრონებს, აქ უკრაინული მაიდანის გამეორება სურთ. უკრაინაში ეს იანუკოვიჩის გაქცევით დამთავრდა. აქ რა სცენარს ამზადებენ?

— დღეს ამის საპირისპიროდ ანტიმაიდანი იქმნება. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოების ინფორმირებაა — რა მოუტანა უკრაინას მაიდანმა ჯერ კიდევ ომამდე: დაიკარგა ტერიტორიების 20%, ყირიმის დაბრუნებაზე დღეს ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ მაიდანმა წარმოშვა ქვეყნიდან იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რიცხვმა ათ მილიონს გადააჭარბა. რა დაემართა უკრაინული ფულის ერთეულს — გრივნას? — ოთხჯერ გაუფასურდა, გაკუპონდა, ეკონომიკა განადგურდა, კორუფციამ ისეთ მწვერვალებს მიაღწია, რუსეთსაც არ დაესიზმრება, დახოცილ ადამიანებზე აღარაფერს ვამბობ. ამ ყველაფერმა მოიტანა ის, რომ ხელისუფლება დაემხო.

მოგვიანებით კი ხელისუფლებაში ფაშისტი ზელენსკი მოვიდა. მან მაშინვე ყველა ოპოზიციური ტელევიზია გააუქმა. დღეს არცერთი ოპოზიციური პარტია ქვეყანაში არ ფუნქციონირებს, ესეც ომამდე ხდებოდა. მერე ქვეყანა ომში ჩართო და გაიძახის: უკანასკნელ უკრაინელამდე უნდა ვიომოო. გაუგებარია, ვისთვის ომობს, თუკი უკანასკნელი უკრაინელიც არ დარჩება ამ ტერიტორიაზე?! პირდაპირ თქვას, ვის სასარგებლოდ ომობს. თუ უკრაინელები უნდა გაჟლიტოს, ვინ უნდა დარჩეს უკრაინის ტერიტორიაზე ბატონპატრონად?! აი, რა მოუტანა მაიდანმა უკრაინას, რომელიც საქართველოზე ბევრად მდიდარი ქვეყანა იყო, ახლა კი გაღატაკებულია. აი, ამ მაიდანის გადმოტანა სურთ საქართველოში. და ამას ფუთავენ ევროპულობად! ეს ევროპულობა კი არა, ტრაგედიაა. ევროპა არის ადამიანის უფლებები და ღირებულებები. რომელმა ვითომ ევროპელმა ლიდერმა დააფასა თავის ქვეყანაში ადამიანის უფლებები, დემოკრატია — სააკაშვილმა თუ ზელენსკიმ?! მაიდანმა უამრავი ადამიანი პატიმარი გახადა — განსხვავებული მოსაზრების გამო ხალხს ციხეში უშვებდნენ, სადაც მათ აწამებდნენ. ესაა პროდასავლურობა?! მიშა და ზელენსკი არიან პროდასავლელები?! ეს არის შირმა, ფასადი იმისთვის, რომ ლამაზი სიტყვებით შეფუთონ ის ბოროტება, რასაც ნაძირალა სააკაშვილი საქართველოში სჩადიოდა, ზელენსკი კი — უკრაინაში. საზოგადოების ინფორმირება უნდა მოხდეს: რა მოუტანა მაიდანმა უკრაინას და რისი გაკეთება სურთ საქართველოში.

ხშირად გვესმის: ქართველი ხალხი თავად გადაწყვეტს, რა სურსო... საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს არალიბერალური მედია. ყველა ლიბერალური ძალების მკაცრი ცენზურის ქვეშ არის და არანაირ განსხვავებულ აზრს არ აჭაჭანებენ. აქ რა გაგვიკვირდეს, როცა ამერიკაშიც ასეა. აბა, აშშ-ში ლგბტ-ზე რამე გადამეტებული სიტყვა წამოგცდეს, მაშინვე დედობის, მამობის უფლებას ჩამოგრთმევენ. შვილს სქესის შეცვლა თუ სურს და ეს მშობელმა გააპროტესტა, მაშინვე ციხეში უშვებენ. ესაა დემოკრატია?! აი, რისი შემოტანა სურთ საქართველოში პროდასავლურობის სახელით. ეს პროდასავლურობა კი არა, ფაშისტობაა. ხალხს ეს უნდა ავუხსნათ — რა მოცემულობის, არჩევანის წინაშე ვართ და მერე თავად განსაზღვრავს, როგორ მოიქცეს.

ელექტრონული მედია ლიბერალურია, ამიტომ მინდა, „საერთო გაზეთის“ ტრიბუნა გამოვიყენო და ხალხს სიმართლე გავაგებინო. მე არ ვიღლები. ზოგჯერ ჩემი შვილი მეუბნება: დედა, მარტო შენ ლაპარაკობ ხშირად ამ თემებზეო. დიახ, ვლაპარაკობ, იმიტომ, რომ ერთით მეტმა ადამიანმა გაიგოს, გაანალიზოს, რა ელის ქვეყანას ამ გეგმის კონტურების მოხაზვის შემთხვევაშიც კი. გაიხსენეთ, რას ამბობს პუტინის რუპორი — მარგარიტა სიმონიანი: უკრაინელები მოძმე ერია, მაგრამ ლმობიერად ვერ მოვექცევითო. აქ უარესს უნდა ველოდოთ. ამიტომ, ვინც აქ მაიდანის მოწყობის მომხრეა, მას საქართველოს ბედი არ ადარდებს, არამედ სურს, ქვეყნის განადგურების ხარჯზე ხელისუფლებაში თვითონ მოვიდეს. ამაზე უნდა ვისაუბროთ ყველგან: გაზეთში, ჟურნალში, ინტერვიუში, შეკრებებზე, კინოსა თუ თეატრში. ეს ხალხს უნდა განვუმარტოთ, რადგან მედია ჩვენს ხელში არ არის, ალტერნატიული აზრი აქაც იბლოკება. თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაიაზროს, რომ მას ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა აქვს, მისი გადაწყვეტილება, არჩევანი განაპირობებს როგორც დღევანდელ, ისე ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალს.

თვალსაჩინოებისთვის ერთ შედარებას მოვიყვან უახლესი ისტორიიდან: სააკაშვილის დროს საქართველო პატიმართა რაოდენობით ევროპაში პირველ ადგილზე იყო. ყველა პატიმარი ან სასტიკად ნაწამები იყო, ან მოკლული, ან დახეიბრებული. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ არჩევნების ბედი მაინც იმ კადრებმა გადაწყვიტა, რაც სატელევიზიო ეთერში გავიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოებამ თეორიულად ისედაც ყველაფერი იცოდა, მაგრამ ვიზუალურად ნანახმა სულ სხვა ეფექტი მოახდინა. მედია ტყუილად ხომ არ ჰყავს ლიბერალებს დამონებული, ჯიბეში ჩასმული — ეს ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საშუალებაა. ამიტომ, „საერთო გაზეთში“ და ყველგან სადაც პატარა ფანჯარა, ჭუჭრუტანა გამოჩნდება, ყველგან უნდა ვისაუბროთ: რას გვიქადის პერსპექტივა, რასაც ოპოზიცია თავის პატრონებთან ერთად გვიმზადებენ.

როგორი იყო უკრაინა მაიდნამდე და მის მერე — ეს კადრები ჩვენს საზოგადოებას ყოველდღე უნდა აყურებინო. მათ ნატო, ნატო-ს და ევროკავშირის ძახილში, ექვსასი ათასი კვადრატული ფართობიდან ასი ათასი — დაკარგეს და ამას კიდევ ბევრი დანაკარგი მოჰყვა. დიახ, ეს კლიპებად უნდა გაკეთდეს და ხალხს აჩვენო: რა არის მაიდანი.

რას გვაძლევს ევროპული პერსპექტივა? — არაფერს. ამ არაფრის, საპნის ბუშტის გამო, რასაც ქვეყნები ოცდაათი წელია, ელოდებიან და თვითონაც არ იციან, რისთვის, შეიძლება, სახელმწიფო მიზანმიმართულად ჩამოშალო და დაანგრიო?! ხელისუფლების ჯანსაღი ნაწილის იმედი მაქვს, რომ სამშვიდობოს გაგვიყვანს. ფრთხილად, ფხიზლად ვიყოთ, რადგან ასეთი კრიტიკული, სახიფათო სიტუაცია საქართველოს არასდროს ჰქონია — ყოფნა-არყოფნის არჩევანის წინაშე ვართ.

ხალხმა სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის დროს ჯოჯოხეთი გამოიარა. ამიტომ, დასავლეთიდან წამოსული დაფინანსების მიუხედავად, მოსახლეობის დიდ ნაწილს ტვინს ვერ ურეცხავენ, ვერ ახერხებენ რევოლუციური პროცესების ბოლომდე მიყვანას, რადგან უმეტესობას საკუთარ ტყავზე აქვს ეს რეჟიმი გამოცდილი და მათ არ მიჰყვება. დღეს, ფაქტობრივად, ნაცების დამსახურებაა ის, რომ ამ ხალხის ვერც დასავლეთი ატყუებს და ვერც ვინმე სხვა. აღარ ტყუვდება ეს ხალხი. როგორ მოტყუვდეს დახეიბრებული, გაუპატიურებული ადამიანი?! როგორ დაიჯეროს, რომ, ვინც მას დუბინკებით აუპატიურებდა, ახლა დემოკრატიის დასამყარებლად მოდის და ევროინტეგრაცია სურს. „ქოფი- ფეისთით“ რომ გადაჰქონდათ განაჩენში ბრალი, სასამართლო პროკურატურას ჯიბეში რომ ედო, როგორ დავიჯეროთ, რომ ამის შემოქმედებს სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდათ?! დიახ, ნაცების მიერ ჩადენილ ძალადობაზე, სისასტიკეზე დგას დღეს სახელმწიფო იმ გაგებით, რომ ხალხი აღარ ტყუვდება. საზოგადოებამ ზუსტად იცის, რაც ელის, თუ ნაცები მობრუნდებიან. 2003 წელს ვარდებით მობრძანდნენ და მერე ვნახეთ, რა სასტიკებიც იყვნენ და ახლა, როცა ამდენს ომობენ, ამდენი ფული ჩაყარეს დესტაბილიზაციაში, პარლამენტში შეჭრაში, ლიმონკებში, მოლოტოვის კოქტეილებში და ხალხის (მათ შორის, ახალგაზრდების) გაწვრთნაში, როგორ უნდა გადააყირავონ ქვეყანა, წარმოგიდგენიათ, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რას გააკეთებენ?! გაფიქრებაც მზარავს. ამ რთული სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი დღეს არის ქართველი ხალხი, რომელსაც ტვინს ვერ ურეცხავენ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

გაერო სავალუტო ფონდის რეფორმირებას ითხოვს

გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:

— ქალბატონო ლია, საერთაშორისო სანქციების აღსრულების წესში ცვლილება შევიდა. როგორც თურნავამ განაცხადა: სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე სანქციის დაწესება კონსტიტუციასთან შეუსაბამობაშია.

— დავიწყოთ იმით, რომ ერთი ქვეყნის მიერ დაწესებული სანქცია საერთაშორისო არ არის. საერთაშორისოა სანქცია, როცა მას თავად გაერო, ან უშიშროების საბჭო აწესებს. მეორეც, საქართველოს კანონმდებლობა აშშ-ის კანონმდებლობასთან ინტეგრირებული არ არის. მიმაჩნია, რომ მისი განკარგულებების, პირდაპირ საქართველოს კანონმდებლობაში რეალიზება, ნონსენსია. შესაბამისად, თურნავას გადაწყვეტილება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლებულია.

კონსტიტუციაში გვიწერია, რომ საერთაშორისო სამართალი უფრო პრივილეგირებულია, ვიდრე საქართველოსი, მაგრამ ერთი ქვეყნის გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი არ გახლავთ. ეს გაეროს გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, პირდაპირ, ყოველგვარი საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე განხორციელებულიყო. ამიტომ, ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ თურნავამ სწორი ნაბიჯი გადადგა.

— ოპოზიცია ამბობს: მსგავს სანქციებს ეროვნული ბანკი ვერ შეაჩერებს, მაშინ ხომ ყველა ქვეყანა ასე მოიქცეოდა.

— აშშ არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ძალიან ბევრ სხვა ქვეყანას უწესებს სანქციებს. მათი სანქციები იმ ქვეყნის გარეთ არსებული ფინანსური სახსრებით შემოიფარგლება. ანუ, ქვეყნის შიგნით ისინი აბსოლუტურად უუფლებონი არიან. თუმცა, ისევ თავისი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ქვეყნის გარეთ გატანილი ფულადი სახსრების დასანქცირების საშუალება აქვთ. ამიტომ, კომერციული ბანკების საქმიანობაზე აშშ-ის გადაწყვეტილებას ვერანაირი ეფექტი ვერ ექნება. თუ ვთქვათ, აშშ-მა კონკრეტული კომერციული ბანკის დასანქცირება გადაწყვიტა, ეს სხვა საკითხია. ამ შემთხვევში ამ უკანასკნელს ამერიკაში არსებულ ბანკებთან ურთიერთობა აეკრძალება და ასე შემდეგ. ეს ყურით მოთრეული პრობლემაა. ფაქტობრივად, ასეთი პრობლემა, ჯერჯერობით, არ დგას, რადგან საქართველოს ეროვნული ბანკი და მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საბანკო სექტორი საერთაშორისო სავალუტო ფონდის სრული კონტროლის ქვეშ არიან. წარმოიდგინეთ, ეროვნული ბანკის მმართველ ორგანოშიც კი უცხოელი ზის. ამიტომ თურნავას გადაწყვეტილება არანაირად არ უთხრის ძირს საქართველოს საბანკო სექტორის მორჩილებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ. ვიცით, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ძირითადად, აშშ მართავს. თურნავას გადაწყვეტილება იმდენად უმნიშვნელო პრობლემაა, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება სპეკულაციის ტოლფასია.

— ეროვნული ბანკის საბჭოში უცხოელი წევრის ყოფნა რამდენად მართებულია?

— ეროვნულ ბანკში ყოველთვის მუშაობდნენ უცხოელები, რომლებიც ხელფასს საქართველოდან იღებდნენ. ბოლოს იმდენად მოძლიერდნენ, რომ ეროვნული ბანკის საბჭოშიც კი ამოტივტივდნენ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყურმოჭრილი მონაა და ყველა მის მითითებას ასრულებს.

— თურნავას გადაწყვეტილებას საბანკო სექტორის ჩამოშლასთან დაკავშირებით სპეკულაციები მოჰყვა.

— ეს პოლიტიკური ბრძოლის ნაწილია. საგანგაშო აბსოლუტურად არაფერი ხდება და არც მოხდება. საბანკო სექტორს არაფერი ემუქრება, მოსახლეობა არ დაზარალდება, ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო.

— ეროვნული ბანკის საბჭოს სამი წევრი თანამდებობიდან გადადგა. ამით ეროვნულ ბანკს ფუნქციონირების საფრთხე ხომ არ შეექმნა?

— საქართველოს ეროვნული ბანკი, ირაკლი ქადაგიძის პერიოდიდან მოყოლებული, ყოველთვის პოლიტიზებული ორგანო იყო. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობას“ იქ სერიოზულად აქვს ფესვები გადგმული. საბჭოს სამი წევრის გადადგომა პოლიტიკური დემარში იყო, რაც იგივე პოლიტიკური ბრძოლის გამოხატულებაა. მიმაჩნია, რომ ეროვნული ბანკი პოლიტიკურად ანგაჟირებული პირებისგან თუ გათავისუფლდება, ეს ბევრად წაადგება თავად ეროვნულ ბანკსაც და ქვეყანასაც. რაც შეეხება ეროვნული ბანკის საბჭოს ფუნქციონირებას, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ორგანო ყოველთვის დასაჭურისებული იყო. ყველა საკითხს, ძირითადად, წყვეტდნენ და ახლაც წყვეტენ ბანკის პრეზიდენტი და მისი მოადგილეები, რომლებიც ასევე, საბჭოს წევრები არიან. საბჭოს წევრობა მაშინაც და ახლაც საკმაოდ მსუყე, უსაქმურ ადგილად ითვლება. მათი ფორმალური შემადგენლობა ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცესში ამინდს ნამდვილად არ ქმნიდა. ამიტომ მოადგილეების თანამდებობიდან წასვლა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. ერთი დღით რომ გაქრეს მთელი საბჭო თავისი პრეზიდენტებიანად, ეროვნული ბანკი მაინც იფუნქციონირებს. ეს აწყობილი სისტემაა. ასე რომ, პანიკის საფუძველი არ არსებობს. უკვე აირჩიეს ორი ახალი წევრი, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ, საბანკო სფეროში რა ხდება. წასულებიდან ზოგს მართლა ესმოდა სიტუაცია, ზოგს — არა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილების მიმღები მაინც ეროვნული ბანკის პრეზიდენტია.

— ამ პერიოდში ლარის გაუფასურება კონკრეტული პირის დასანქცირების თემას დაუკავშირეს. რეალურად რამ გამოიწვია ეს?

— აქ ყველაფერი მარტივად არის: როცა ქვეყანაში პოლიტიკური ძვრები ხდება, ბიზნესის ფული ქვეყნიდან „გარბის“. ეს პროცესი კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება. კომერციულ ბანკებს ფული ან ბიზნესის დავალებით გააქვთ, ან საკუთარი სახსრებით. ლარის კურსის მერყეობა სწორედ ამ გადინებამ გამოიწვია. საქართველოს ეროვნული ბანკი ამ პროცესში საკმაოდ ოპერატიულად ჩაერთო და ერთხელ — 20, ხოლო მეორედ — 37 მილიონი დოლარი დახარჯა. 37 მილიონიდან თანხები ბოლომდე არ ათვისებულა. ანუ, კომერციულმა ბანკებმა ვალუტის დანაკლისი რომ შეივსეს, კიდევ დაახლოებით, შვიდი მილიონი დარჩა. ფაქტია, რომ ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს გარეთ გასული სავალუტო სახსრები ოპერატიულად შეუვსო და ლარის კურსი დასტაბილურდა. ასე რომ, ამ კუთხითაც პრობლემა არ არსებობს. როდესაც პოლიტიკური რყევები დასრულდება, ფული ნელ-ნელა დაგროვდება — ბიზნესმენები ფულს დააბრუნებენ.

— კომერციულმა ბანკებმა განაცხადეს, რომ საერთაშორისო სანქციებით იხელმძღვანელებდნენ. ეს რას ნიშნავს, რა შეუსაბამობას აქვს ადგილი?

— კომერციულ ბანკებს გააჩნიათ დისკრეციული უფლება, მომსახურება არ გაუწიონ იმ პირებს, რომლებიც მათ სანდოდ არ მიაჩნიათ. ეს მათ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაუწერა სპეციალურ კანონქვემდებარე აქტებში. ამ გადაწყვეტილებით, მათ შეუძლიათ, ამა თუ იმ პიროვნებას, საბანკო მომსახურებაზე უარი უთხრან. მნიშვნელობა არ აქვს, ეს პირი ვინმეს მიერ დასანქცირებული იქნება თუ არა. შესაძლოა, კომერციულმა ბანკმა მიიჩნიოს, რომ კონკრეტული პირი არაპატიოსან ბიზნესსაქმიანობას ეწევა, ან მის მომსახურებაზე თავი შეიკავოს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე. ასეთი უფლება კომერციულ ბანკებს ნამდვილად გააჩნიათ. საქმე ის არის, რომ კომერციული ბანკები ყოველთვის აშშ-ის მითითებების შემსრულებლები იყვნენ და დღემდე ასეთებად რჩებიან. ხშირ შემთხვევაში, მათ ეძლეოდათ იმ პიროვნებების სია, რომელთა ან ანგარიშები უნდა ეკონტროლებინათ, ან საერთოდ, უარი ეთქვათ მათ მომსახურებაზე. ამ სიებს კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკი აძლევდა, ხოლო თავად ეროვნულ ბანკს სიებს აშშ აწვდიდა. თვალსაჩინო მაგალითი იყო ირანელების შემთხვევა, რომლებიც აქ ბიზნესს ვერ აწყობდნენ, რადგან კომერციული ბანკები ირანელ ბიზნესმენებს არ ემსახურებოდნენ. ასე რომ, ასეთი ყურმოჭრილი მონის პოზიციიდან გამომდინარე, მე მგონი, კომერციულ ბანკებს იმის არანაირი საშიშროება არ ემუქრებათ, რომ მათ რაღაც სანქციების განხორციელება მოუწევთ.

— ბოლოს სავალუტო ფონდის მუშაობის შეჩერებაზეც გკითხავთ. სავალუტო ფონდის თქმით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს 280 მილიონი დოლარის ფინანსებზე გაუჩნდებოდა წვდომა, მაგრამ ეს სამწლიანი პროგრამა სავალუტო ფონდმა ეროვნულ ბანკში საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებული ცვლილებების გამო შეაჩერა.

— სავალუტო ფონდის მიერ ამ პროგრამის შეჩერება არავითარ პრობლემას არ ქმნის, ეს არ არის იმდენად დიდი ოდენობის თანხა, რომ მთელი ქვეყანა, ეროვნული ბანკი მასზე ჩამოეკიდოს. იმასაც გეტყვით, რომ ახლახან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეა გაიმართა, სადაც გაჟღერდა, რომ საჭიროა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირება. როგორ ფიქრობთ, რატომ შექმნა ბევრმა ქვეყანამ და რეგიონმა საკუთარი განვითარების ბანკები? – იმიტომ, რომ მათ თავიანთ ქვეყნებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა არ აკმაყოფილებდათ. ანუ, სავალუტო ფონდი მათ ეუბნებოდა: მე შენ ფულს მოგცემ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას და ამას გააკეთებო, თან ეს იყო არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოთხოვნებიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების მოთხოვნის საკითხი თანდათანობით გაძლიერდება და ფეხს მყარად მოიკიდებს. ეს მით უფრო აქტუალურია იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი საკუთარი ფულით შემოდიოდა. ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა და პროგრესი შთამბეჭდავი ნამდვილად არ არის. აღნიშნული ქვეყნები მაინც ღარიბებად დარჩნენ ისევე, როგორც ჩვენ. წლებია, სავალუტო ფონდი საქართველოში პროგრამებს ახორციელებს, მაგრამ ჩვენ მაინც ღარიბები ვართ — არც მრეწველობა ვითარდება, არც სოფლის მეურნეობა...

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჯასტინ ტრიუდომ ზელენსკის კვანტი დაუდო

მსოფლიოში პოლიტიკური სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება და სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. პოლიტოლოგებს განსაკუთრებით აშფოთებთ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები. მართალია, ნებისმიერ სახელმწიფოში ხელისუფლებას ოპოზიცია ჰყავს, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ვითარება უკვე გასცდა ცივილიზებულ ნორმებს. ორ პარტიას შორის „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლაა გაჩაღებული, როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ისე, მის ფარგლებს გარეთაც. ანალიტიკოსები, პირდაპირი მნიშვნელობით, შეშინებულები არიან, რომ დაპირისპირება სამოქალაქო ომში არ გადაიზარდოს. რას მოუტანს სამყაროს აშშ-ში შინაური შეიარაღებული დაპირისპირება, რომელსაც დიდძალი ბირთვული იარაღი გააჩნია, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

რესპუბლიკური პარტია უმოწყალოდ აკრიტიკებს მოქმედ პრეზიდენტს ჯო ბაიდენს. მის მიმართ პრეტენზიები მოსახლეობასაც

აქვს. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან ქვეყანაში არსებული საემიგრაციო პოლიტიკით. მარტო ნიუ-იორკში ასი ათასამდე მიგრანტია, რომლებსაც ახალი ხალხი ემატება. ადგილობრივი მოსახლეობა გაუსაძლის პირობებშია, განსაკუთრებით ისინი, ვინც მიგრანტების სიახლოვეს ცხოვრობს. ნავთობზე გაზრდილი ფასი და, საერთოდ, ეკონომიკური საკითხები ცალკე საუბრის თემაა.

რესპუბლიკელი კონგრესმენები განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკით არიან უკმაყოფილონი, მათ შორის, უკრაინისთვის გაწეული დიდძალი დახმარებითაც. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ადრე თავად რესპუბლიკელებიც მხურვალედ უჭერდნენ მხარს უკრაინისთვის ყველა სახის დახმარებას, ახლა კი პოზიცია შეიცვალეს. ჯო ბაიდენი ითხოვდა, რომ აშშ-ის 2024 წლის ბიუჯეტში უკრაინისთვის 24 მლრდ დოლარი ყოფილიყო განსაზღვრული. ამის თაობაზე აღშფოთდნენ აშშ-ში, განსაკუთრებით ზაფხულში მომხდარი სტიქიური უბედურებების ზონაში მცხოვრებლები. დაზარალებულებს კომპენსაციის სახით მიზერული დახმარება აღუთქვეს. ჰავაის კუნძულზე დამწვარი ქალაქების აღსადგენად, რომელთაგანაც ერთ-ერთი სრულიად გადაიბუგა, მხოლოდ 7-მილიარდიან დახმარებას დაჰპირდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

ტრადიციულად, ფინანსური ახალი წელი აშშ-ში 1-ელ ოქტომბერს იწყება. სწორედ ამ თარიღამდე უნდა დაამტკიცოს საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატამ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამოქმედდება ე. წ. შათ-დაუნი, ანუ დაუფინანსებლობის მიზეზით მუშაობას შეწყვეტს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია, მათ შორის, მთავრობა. ჯო ბაიდენის წინამორბედის, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროსაც ამოქმედდა შათ-დაუნი, რომელიც თითქმის თვე-ნახევარი გაგრძელდა.

წარდგენისთანავე, რესპუბლიკელი კონგრესმენები ეწინააღმდეგებოდნენ ბიუჯეტში უკრაინისთვის ხარჯების გამოყოფას. ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო. ჯო ბაიდენი პირადად შეხვდა კონგრესის სპიკერს, კევინ მაკარტის, მაგრამ... დემოკრატები თანახმა იყვნენ, უკრაინისთვის გათვალისწინებული 24 მილიარდი ექვსამდე შეემცირებინათ, რესპუბლიკელების ნაწილი თავდაპირველად თითქოს დათანხმდა, მაგრამ უმრავლესობა დახმარების გაუქმებას ითხოვდა. ბოლო მომენტამდე არავინ იცოდა, შეძლებდა თუ არა აშშ შათ-დაუნის თავიდან აცილებას. ბიუჯეტის დამტკიცების ბოლო დღე განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა. ერთ-ერთმა დემოკრატმა დეპუტატმა სახანძრო განგაშის სიგნალიზაციაც ჩართო, რათა ხმის მიცემის პროცედურა ჩაეშალა. ...ოქტომბრის დადგომამდე სამი საათით ადრე შეძლო კონგრესმა დროებითი ბიუჯეტის მიღება.

თეთრი სახლის ადმინისტრაცია ქვეყნის ბიუჯეტში უკრაინისთვის 24 მილიარდი დოლარის გათვალისწინებას ითხოვდა, მაგრამ ერთი ცენტიც ვერ მიიღო. თუმცა, ჯო ბაიდენი უკრაინელებს დაჰპირდა, რომ მათთვის ფინანსურ დახმარებას ცალკე მუხლით შეეცდება. ამავე დროს, მკაცრად გააკრიტიკა კონგრესი. ბაიდენის თქმით, უკრაინის მიტოვება არ შეიძლება. „...ჩვენთვის ამერიკელების ინტერესები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე უკრაინელების დახმარება, თუნდაც იარაღით,“ — განაცხადა ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ კევინ მაკარტიმ.

რთულ სიტუაციაში იმყოფება პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. მანქანათმშენებლების დიდ გაფიცვაზე მისვლა მოუხდა, მაგრამ კონკრეტულად არაფერს დაპირებია, უბრალოდ, მივიდა. მას არც მიგრანტების პრობლემა აინტერესებს და არც რაიმე ქმედითი ღონისძიების გატარებას აპირებს არალეგალების ქვეყანაში შესვლის შესაჩერებლად. „...ბაიდენის პრეზიდენტად არჩევამ აშშ-ში უწესრიგობის ეპოქა მოიტანა. რასაც პროგრამისტები კარნახობენ, იმას აკეთებს. ამიტომაც დაისადგურა ქვეყანაში უწესრიგობის ეპოქამ,“— აცხადებს ამერიკელი პოლიტოლოგი ბილ ურეილი. მისივე განმარტებით ე.წ. პროგრესისტები, რომლებიც გაუკუღმართებული ცხოვრების წესებს მისდევენ, ამართლებენ თავიანთ ქმედებებს და „პროგრესად“ ასაღებენ. სამწუხაროდ, ჩვენც მრავლად გვყავს მსგავსი „პროგრესისტები“.

კონგრესში რესპუბლიკელები აქტიურად მუშაობენ ჯო ბაიდენის იმპიჩმენტზე. გასულ კვირას გამოკითხეს ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილი თუ მოწმე ჰანტერ ბაიდენი, რომელმაც, ფაქტობრივად, აღიარა წაყენებული ბრალდებები. კონგრესის სამეთვალყურეო კომიტეტის ხელმძღვანელმა ჯეიმს კონერმა, რომელიც ხელმძღვანელობს იმპიჩმენტის პროცედურას, განაცხადა: „ჩვენ მოვიპოვეთ და გვაქვს უამრავი მასალა პრეზიდენტ ბაიდენისა და მისი ოჯახის წევრების კორუფციაში მონაწილეობის ფაქტებზე“. მისივე თქმით, მასალები გაჭირვებით შეგროვეს, რადგან ხელს უშლიდნენ როგორც ხელისუფლების, ასევე სამართალდამცავების მაღალჩინოსნები.

დემოკრატები ყოველნაირად ცდილობენ, დაიცვან თანაპარტიელი პრეზიდენტი. კონგრესში კომიტეტის სხდომაზე ისიც განაცხადეს, რომ, რადგან ჰანტერ ბაიდენი ნარკოდამოკიდებულია (რასაც აქამდე უარყოფდნენ), მისი ჩვენება არასარწმუნოა. ნარკოდამოკიდებულ ადამიანს მაღალი თანამდებობა რომ ეკავა უკრაინაში კომპანია „ბურიზმის“ დირექტორთა საბჭოში, ამის შესახებ არაფერს ამბობენ. კონგრესმენმა ქალბატონმა ჟასმინ კრუკეტმა ისიც კი განაცხადა: „რესპუბლიკელების აზრით, ჩვენი პრეზიდენტი თურმე იმაშია დამნაშავე, რომ თავისი ბავშვი უყვარს“. თავად ჯო ბაიდენის თქმით, აშშ-ში დემოკრატია საფრთხეშია.

უკვე ოთხ საქმეში ბრალდებული აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის რეიტინგი დღითიდღე იზრდება. იგი უკვე მეორედ არ მივიდა რესპუბლიკელების პრეზიდენტობის კანდიდატების დებატებში მონაწილეობის მისაღებად. სამაგიეროდ, ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას, რასაც გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე დებატებს.

ტრამპი თავის გამოსვლებში აკრიტიკებს და აშარჟებს ბაიდენს. სამხრეთ კაროლინაში ისიც შეხვდა გაფიცულ მანქანათმშენებლებს, რის შემდეგადაც დაათვალიერა ერთ-ერთი იარაღის მაღაზია. განსაკუთრებით მოეწონა „გლოკის“ ტიპის პისტოლეტი. ჭორიც დაუგდეს, იარაღი იყიდაო, მაგრამ რაში სჭირდება საკუთარი იარაღი ტრამპს, რომელსაც დაცვის უზარმაზარი სამსახური ემსახურება.

მიმომხილველმა ყურადღება გაამახვილეს, რომ ადრე რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას ტრამპი ერთ დღე-ღამეში იქადნებოდა. ახლა უკვე ოთხი წლის ვადას ითხოვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე საგრძნობლად დაეცემა. მისი განცხადებით, რუსეთმა საკმაოდ დიდი შემოსავალი ნახა ნავთობპროდუქტების ვაჭრობით. სავარაუდოდ, რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის დაპირისპირება მალე არ დასრულდება.

სკანდალი, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის კანადაში ვიზიტისას აგორდა, გრძელდება. თუმცა, ზელენსკი ამაში ნაკლებად დამნაშავეა. ანალიტიკოსების შეფასებით, კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ ზელენსკის კვანტი დაუდო საკანონმდებლო ორგანოში ყოფილი ესესელის მიწვევით, რომელსაც პარლამენტარები ოვაციებით შეხვდნენ. ტაშს უკრავდნენ, მათ შორის, ზელენსკი და ტრიუდოც...

მომხდარით თავდაპირველად კანადელი მოსახლეობა აღშფოთდა. ოპოზიციონერმა დეპუტატებმაც უმალ დაიწყეს ხელისუფლების გაკრიტიკება, მაგრამ ისინიც ფეხზე წამომდგარი უკრავდნენ ტაშს ფაშისტს. სპიკერი ენტონი როტე იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა. ტრიუდომ საჯაროდ მოუხადა ბოდიში ებრაელებს, ბოშებს, პოლონელებს, სექსუმცირესობის წარმომადგენლებს ფაშისტების მხრიდან არაადამიანური მოპყრობის გამო, მაგრამ საბჭოთა ხალხი, რომელმაც ყველაზე მძაფრად იწვნია ფაშიზმის სისასტიკე, ერთხელაც არ უხსენებია. თავიც იმართლა, არ ვიცოდი, ვინ იყო მოწვეულიო, მაგრამ ესესელის შვილიშვილმა გაავრცელა ფოტო, სადაც მოხუცი ფაშისტი ტრიუდოს მისაღებშია გადაღებული.

საყურადღებო მოვლენა მოხდა გასულ კვირას ჩრდილოეთ კორეაში. კიმ ჩენ ინმა სახალხო კრების ყრილობაზე ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა, სადაც ჩაწერა, რომ ბირთვული შეიარაღება სახელმწიფო პროგრამაა. ამით კი ქვეყანა ოფიციალურად გამოაცხადა ბირთვულ სახელმწიფოდ, რაც დღემდე არ გაუკეთებია ინდოეთს და პაკისტანს, რომლებსაც ბირთვული იარაღი გააჩნიათ.

ანალიტიკოსების შეფასებით, დღეს მსოფლიოში ახალი ტენდენცია დაიწყო: ყოფილი კოლონიები იპყრობენ ყოფილ კოლონიზატორებს. სამყაროში რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს, რაც ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ და ქვეყნის სასარგებლოდ ვიმოქმედოთ.

გია ბურდული
551 71 27 07

პოლიტიკა ვაჭრობაა უკეთესი რეალობის შესაქმნელად

9 გვ.

განახორციელელებინეს ის პოლიტიკა, რაც გააკეთებინეს ბაიდენს. ტრამპის პრეზიდენტობის დროსაც იყო საუბარი უკრაინის ომზე. ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, მოითხოვოს იქ ყოფნა, სადაც მას უნდა და ნამდვილად აქვს უკრაინას იმისი უფლება, იყოს ნატო-ს წევრი, თუკი ხალხს ეს უნდა, მაგრამ საკითხავი ისაა, ამის უკან რა დგას. გვინდა ვიყოთ ევროატლანტიკური ოჯახის წევრი, მაგრამ მივდივართ კი აქეთ? გვიშვებენ კი ევროატლანტიკურ სივრცეში, ან ჩვენ, ან უკრაინას? - არ გვიშვებენ. რატომ ვართ გაბრაზებული? - ტყუილის გამო ვართ გაბრაზებული. რაც უკრაინას დამართეს, მსგავსი უკვე ვნახეთ საქართველოში 2008 წელს და იგივე სცენარის განმეორება უნდოდათ დღესაც, უარესი შედეგებით. ხელისუფლებამ კი არ დაუშვა მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში, არ უშვებს, რომ ქვეყანა განადგურდეს, არ უნდა, რომ საქართველო იყოს ნებისმიერი ქვეყნის ვასალი სახელმწიფო, გვინდა, ვიყოთ პარტნიორები და ოჯახის წევრები ამერიკისა და ევროპული ქვეყნებისა, მაგრამ არა ვასალი.

როდესაც არჩევანს აკეთებ, უნდა გქონდეს მყარი მხარდაჭერა იმ ოჯახიდან. ნატო-ში გაწევრიანებაზე ვინც აძლევს ხმას, მას სრული კონსენსუსი სჭირდება. რუსეთი ყოველთვის იპოვის ნატო-ს წევრ თუნდაც ერთ ქვეყანას, რომელიც მისი პოლიტიკის გამტარებელი იქნება. ერთი „არა“ მათგან ყოველთვის ექნება საქართველოს და უკრაინას. მე თამაშის წესები არ მომწონს, არ მომწონს ტყუილი. უკვე ევაჭრებიან უკრაინას. ზოგი ამბობს, რომ, როცა ომი დამთავრდება, 10 წლის შემდეგ მიიღებენ ნატო-ში, ზოგი ამბობს, რომ მიიღებენ ახლავე, დაუყოვნებლივ და ასე შემდეგ, მაგრამ მიიღებენ იმ ტერიტორიების გარეშე, რომელიც, ფაქტობრივად, მან უკვე დაკარგა. ეს არის რეალობა. ამ სიმართლეს ხალხს ყველა უმალავს. დიახ, ნატო-ს სჭირდება უკრაინა, უკრაინას კი - ნატო, მაგრამ ამ ტერიტორიებს რომ საკუთარი ნებით არ დათმობდა უკრაინელი ხალხი, ყველამ კარგად იცოდა. ასე რომ, პოლიტიკა ბევრად უფრო შორიდან იღებს სათავეს, ვიდრე ჩვენ გვგონია, პოლიტიკა არ იწყება იმ წერტილიდან, როდესაც პროცესი იწყება და არ მთავრდება იქ, სადაც გვგონია, რომ ყველაფერი დასრულდა.

- რამდენიმე დღის წინ 27 სექტემბერი იყო, სოხუმის დაცემის დღე. ოცდაათი წელი გავიდა და დღემდე ამ ჩვენი მზიანი მხარის დაბრუნების იმედით ვცხოვრობთ. რა შეიძლება გაკეთდეს რეალურად მის დასაბრუნებად?

-ერთი რამ ნამდვილად ვიცი, საქართველო არასდროს გამოიყენებს ძალას მისი ძმების წინააღმდეგ. ეს ერთხელ მოხდა და იყო ძალიან დიდი შეცდომა ორივე მხრიდან. გინახავთ, რომ, რომელიმე ოპოზიციონერი პოლიტიკოსი გამოსულიყო და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გეგმა შემოეთავაზებინა? ახლა, სოხუმის დაცემიდან ოცდაათი წლისთავზე, ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკოსი იყო თაკო ჩარკვიანი, რომელმაც ღიად, სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ - დიახაც, უნდა ვიომოთ და ომით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი, - რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ ქვეყნის მტრებს მეორე ფრონტის გახსნა უნდათ საქართველოში. თუ ვინმეს ნამდვილად სჯერა, რომ აფხაზეთს და სამაჩაბლოს ომით დავიბრუნებთ, მხოლოდ მატყუარა კი არ არის, აზროვნების უნარიც არ გააჩნია. ჩვენზე 15-ჯერ მეტი უკრაინა, რომელსაც მთელი მსოფლიო ეხმარება, მაგრამ ვერ ერევა რუსეთს, ვერ აჩერებს და ჩვენს 3-მილიონიან ერს რა დაემართება? ქვეყნის შიდა დაპირისპირებამ და არასწორმა პოლიტიკამ გამოიწვია სწორედ ჩვენი ტერიტორიების დაკარგვა, რადგან მტერი ძლიერია მაშინ, როცა ჩვენ ერთმანეთს ვასუსტებთ. იგივე პროექტის განხორციელება სურთ დღესაც, ისევ სამხედრო ძალის გამოყენება სურთ ხელისუფლების წინააღმდეგ და იმდენს ვერ ხვდებიან, რომ ეს, საერთო ჯამში, ქვეყანას გაანადგურებს. როგორ ფიქრობთ, დღეს რომ შიდა არეულობა დაიწყოს, რუსეთი გაჩერდება? არ წამოვა ჩვენკენ და რომელ რეგიონებზეც თვალი უჭირავს, არ დაიწყებს იმ რეგიონებზე მუშაობას?

მსოფლიოს გეოპოლიტიკური ცენტრი ვართ, რაც უკვე გაერომაც აღიარა. ჩვენი ერთ-ერთი უბედურება ისაა, რომ ვართ რუსეთის მეზობლები, მაგრამ ვერც რუსეთს გადავდგამთ სადმე და ვერც ჩვენ გავეცლებით. თუ ოდესღაც მტრად გადაკიდებულ ამერიკასა და იაპონიას შორის მოინახა საერთო ენა და დღეს ისინი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტრატეგული პარტნიორები არიან მსოფლიოში, ჩვენც უნდა მოვახერხოთ, რომ ტერიტორიები მშვიდობიანი გზით, დიალოგის გზით დავიბრუნოთ და მტრობას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დავუსვათ. ყოველთვის ვამბობდი და ვიტყვი, რომ პოლიტიკაში არც მუდმივი მტრობა არსებობს და არც მარადიული მეგობრობა. პოლიტიკა არის ვაჭრობა და გარკვეულ მოცემულობას იყენებენ გონიერი ხელისუფალნი, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად, უკეთესი რეალობის შესაქმელად.

ნონა ქარქაშაძე

სახალხო დიპლომატიამ პოლიტიკური მეხამრიდის როლი უნდა შეასრულოს

5 მაისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ხელი მოაწერა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ დოკუმენტს, მეორე განკარგულებით კი გააუქმა რუსეთიდან საქართველოში საჰაერო მიმოსვლის აკრძალვა. რუსეთის პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას მორიგი რუსული პროვოკაცია უწოდა საქართველოს პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აღდგენა და სავიზო აკრძალვის გაუქმება მიუღებელია, ვიდრე რუსეთი უკრაინის მიმართ აგრესიას და ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას განაგრძობს. პუტინის ამ გადაწყვეტილების უკან რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ფარული მოლაპარაკები დაინახა რადიკალურმა ოპოზიციამ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ჯერ კიდევ 18 იანვარს საქართველოსთან პირდაპირი ავიამიმოსვლის მალე აღდგენის იმედი გამოთქვა და განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკის 10 პროცენტით ზრდა დიდწილად რუსეთთან კავშირის დამსახურებაა. ორ ქვეყანას შორის ფრენების აღდგენას რომ ორივე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობა და ნებართვა უნდა, ეს სიახლე არ არის. სერგეი ლავროვის განცხადებით, როდესაც დაინახეს, რომ თბილისის ამჟამინდელი ხელისუფლება დაინტერესებულია ურთიერთობების ნორმალიზებით, ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობასთან ფრენების განახლებაზე შეთანხმდნენ და სავიზო რეჟიმი გაუქმდა.

რაც შეეხება მოლაპარაკებას ქართულ მხარესთან, შეთანხმების გაფორმება საქართველოს მთავრობასთან მოხდა. კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს საავიაციო სააგენტო თანხმობას აძლევს შესაბამის უწყებას და შესაბამის კომპანიებს. ასე შემოიფარგლა რუსეთ-საქართველოს ხელისუფლებებს შორის ურთიერთობა.

ექიმი, სახალხო დიპლომატიის ცენტრ **„პერსონა“**-ს ვიცე-პრეზიდენტი **გია სულაძველიძე**, რომელიც 2018 წლიდან არის ჩართული სახალხო დიპლომატიაში, აცხადებს: როდესაც ქვეყნებს შორის არ არის დამყარებული სახელმწიფოთაშორისი აკადემიური დიპლომატია, „პოზიტიური დეტონატორის“ როლი ყველა სახის სახალხო დიპლომატიამ უნდა ითამაშოს.

- ბატონო გია, რას ნიშნავს, იყო იმ ქვეყნიდან სახალხო დიპლომატიის წარმომადგენელი, რომლის 20% რუსეთის მიერ დროებით არის ოკუპირებული?

- ეს ნიშნავს, მიიღო პირველი ინფორმაციული დარტყმა და საკუთარ თავზე მიიღო „ცეცხლი“ ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ოპოზიციიდან.

- როდესაც მრგვალი მაგიდის გარშემო რუსეთში თქვენს კოლეგებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან სხდებით და იწყებთ საუბარს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, როგორია მათი პოზიცია და ხედვა აფხაზეთისა და ცხინვალის დეოკუპაციასთან დაკავშირებით და რამდენად არის თქვენს ხედვასთან თანხვედრაში?

- უნდა შევხვდეთ ყველა სუბიექტისთვის მისაღებ „ნეიტრალურ ტერიტორიაზე“. შეხვედრა უნდა იყოს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. შესავალი იქნება სართო ძმურ ოჯახში (საბჭოთა კავშირი) როგორ ვცხოვრობდით, შესაბამისი „შუქჩრდილების“ განხილვით. შეხვედრა უნდა მოხდეს ცალ-ცალკე სუბიექტებს შორის: რუსეთი-აფხაზეთი-საქართველო, რუსეთი-ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“-საქართველო. ეს შეხვედრა უნდა იყოს მხოლოდ სახალხო დიპლომატიის ეგიდით და დიალოგში მონაწილე მხარეები არ უნდა იყვნენ სამხედრო დაპირისპირების მონაწილენი, არ უნდა ჰქონდეთ გამოყენებული იარაღი.

- ორივე რეგიონი 2008 წელს რუსეთმა აღიარა „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“. არ მიაჩნიათ, რომ ეს იყო მათი მხრიდან დაშვებული დიდი პოლიტიკური შეცდომა და ღია განაცხადი იმაზე, რომ ის არის კონფლიქტის მხარე?

- „დიდ პოლიტიკოსებს“ უჭირთ, აღიარონ თავიანთი „ამბიციურ-ემოციური“ არაშორსმჭვრეტელური შეცდომები და ამის გამოსწორებას დაბალ რგოლებთან „ამისამართებენ“. ამ შემთხვევაში სახალხო დიპლომატია ყველაზე უპრიანია, რომელიც „პოლიტიკური მეხამრიდის“ როლში გამოდის.

- დიპლომატური ურთიერთობის არარსებობის პირობებში რამდენად შედეგიანი იქნება სახალხო დიპლომატია და შესაძლებელია თუ არა, რომ პოლიტიკური დიალოგის ნაწილში გადაინაცვლოს?

- როდესაც ქვეყნებს შორის არ არის დამყარებული სახელმწიფოთაშირისი აკადემიური დიპლომატია, ამ შემთხვევაში „პოზიტიური დეტონატორის“ როლი უნდა ითამაშოს ყველა სახის სახალხო დიპლომატიამ, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი „კრეატიული დიპლომატიაა“...

- როგორ ფიქრობთ, არის ხელისუფლება მზად იმისათვის, რომ დაიწყოს დიალოგი კონფლიქტის დარეგულირების შესახებ?

- დღეს ხელისუფლება მზად არის, აღადგინოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამის წინაპირობა შექმნეს საქართველოს სახალხო დიპლომატებმა მრავალწლიანი მიზანდასახული მცდელობით, რისი შედეგიც სავიზო რეჟიმის გაუქმება და საჰაერო ავიამიმოსვლის აღდგენაა.

ანი გოდერძიშვილი

ომი რომ უბედურებაა, ამაზე არავინ დავობს, არც იმაზე კამათობენ, რომ მას ადამიანთა მსხვერპლი, ნგრევა და განადგურება მოჰყვება, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა ომის პირობებში სარგებელსაც ნახულობს.

კაცობრიობას არსებობის განმავლობაში უამრავი დიდი თუ პატარა, ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ომი გადაუტანია. მათ შორის ყველაზე მეტი ადამიანის სიცოცხლე მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა, რომელიც 1939 წლის 3 სექტემბერს დაიწყო, გერმანიის მოკავშირეებმა კი დამარცხება 1945 წლის 2 სექტემბერს აღიარეს.

მეორე მსოფლიო ომში 57 ქვეყანა მონაწილეობდა. გთავაზობთ ცნობარს ამ ქვეყნების შესახებ: სად, როდის და როგორ იბრძოდნენ, რა დანაკარგები ნახეს და რა შეიძინეს...

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქვეყნები

ავსტრალია

ომში მონაწილეობა: 1939 წლის 3 სექტემბერი – 1945 წლის 2 სექტემბერი (2191 დღე).

მოსახლეობა: 7,7 მლნ ადამიანი (1939).

შეიარაღებული ძალები: 80 ათასი ადამიანი, 164 თვითმფრინავი, 6 საბრძოლო ხომალდი (1939).

ხელმძღვანელობა: პრემიერ-მინისტრი რობერტ მენზისი (1939 წლის 26 აპრილი — 1941 წლის 28 აგვისტო), არტურ ფადენი (1941 წლის 28 აგვისტო — 7 ოქტომბერი), ჯონ კერტინი (1941 წლის 7 ოქტომბერი — 1945 წლის 30 იანვარი), ბენ ჩიფლი (დროებით პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი 1945 წლის 30 აპრილი — 6 ივლისი, 1945 წლის 13 ივლისი — 1949 წლის 19 დეკემბერი), ფრენკ ფორდი (1945 წლის 6 ივლისი — 13 ივლისი).

ომში მონაწილეობის ისტორია: 1939 წლის 3 სექტემბერს, ავსტრალიამ, როგორც დომინიონმა, მხარი დაუჭირა მეტროპოლიას და დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან ერთად ომი გამოუცხადა გერმანიას. 1940 წლის იანვრიდან 1943 წლის თებერვლამდე ავსტრალიელები მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში ჩრდილოეთ აფრიკაში, საბერძნეთსა და ახლო აღმოსავლეთში. 1943 წლის თებერვლისთვის ავსტრალიის სახმელეთო ჯარები სამშობლოში გაიწვიეს იაპონიის თავდასხმის მზარდი საფრთხის გამო. 450 ავსტრალიელი მფრინავი მონაწილეობდა ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ევროპაში განხორციელებულ საბრძოლო გაფრენებში 1939-1945 წლებში. 1941 წლის სექტემბრიდან 1945 წლის სექტემბრამდე ავსტრალიელები ბრიტანელებთან, შემდეგ კი ამერიკელებთან ერთად იბრძოდნენ მალაიზიის ნახევარკუნძულზე, კუნძულებზე სუმატრაზე, ტიმორზე, ახალ გვინეაზე, იავაზე, კალიმანტანზე, ფილიპინებისა და სოლომონის კუნძულებზე. 1942 წლის ივნისში აღკვეთეს იაპონელების გადასხმა პორტ-მორსბიზე (ახალი გვინეა), რომლის დაპყრობა ავსტრალიაში დესანტის გადასხმის პლაცდარმს შექმნიდა. 1943 წლის ივლისში ავსტრალიის ხომალდები ჩართული იყვნენ მოკავშირეების ჯარების სიცილიაზე გადასხმის ოპერაციაში. 1941 წლის აგვისტოდან 1945 წლის აგვისტომდე ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა მონაწილეობა მიიღეს საბრძოლო და სატრანსპორტო ოპერაციებში, რომლებიც წყნარი ოკეანის აკვატორიაში განხორციელდა.

დანაკარგები: დაიღუპა 39,4 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 735 სამოქალაქო პირი.

შედეგები: ომის წლებში ავსტრალიამ შეძლო დიდ ბრიტანეთზე დამოკიდებულების შემცირება და წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ის უმნიშვნელოვანესი მოკავშირე გახდა. გაიზარდა ავსტრალიის სამხედრო საზღვაო ძალების (დაახლოებით 150 ხომალდი) და სამხედრო-საჰაერო ძალების (დაახლოებით 3,1, ათასი თვითმფრინავი) რაოდენობა. სამხედრო მრეწველობის განვითარებამ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას შეუწყო ხელი.

არგენტინა

ომში მონაწილეობა: 1945 წლის 27 მარტი — 1945 წლის 2 სექტემბერი (160 დღე).

მოსახლეობა: 15, 39 მლნ ადამიანი (1945).

შეიარაღებული ძალები: 66 ათასი ადამიანი, 28 ხომალდი (1945).

ხელმძღვანელობა: პრეზიდენტი ედელმირო ხულიან ფარელი (1944 წლის 24 თებერვალი — 1946 წლის 4 ივნისი).

ომში მონაწილეობის ისტორია: ომამდე არგენტინა აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიასთან. იქ 400 ათასზე მეტი გერმანელი ცხოვრობდა, ამიტომ 1939 წლის 4 სექტემბერს არგენტინამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. თუმცა, აშშ-ის ზეწოლის შედეგად, რომელმაც ეკონომიკური სანქციები დაუწესა, ქვეყნის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, 1942 წელს ნება დაერთო ამერიკის სამხედრო საზღვაო ძალებისთვის, არგენტინის პორტები გამოეყენებინა. 1944 წლის 25 იანვარს არგენტინამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიასა და იაპონიასთან, 1945 წლის 25 მარტს კი ომი გამოუცხადა მათ. ამასთან, 1945 წლიდან ქვეყანაში საიდუმლოდ შედიოდა გერმანული წყალქვეშა ნავები, რომლებზეც გერმანელი მაღალჩინოსნები იმყოფებოდნენ და ისინი ძვირადღირებული ტვირთით იყო დატვირთული. 1946-1950 წლებში არგენტინაში 180-ზე მეტი გერმანელი მაღალჩინოსანი გადაბარგდა, რომელთა უდიდესმა ნაწილმა აგრენტინის შეიარაღებულ ძალებში მიიღეს მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობები.

დანაკარგები: არ არის დარეგისტრირებული.

შედეგები: მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ლავირების წყალობით, არგენტინამ არამარტო ამერიკული ინვესტიციები მიიღო და გერმანული საწარმოების ნაციონალიზაცია მოახდინა, არამედ გერმანელების მიერ ქვეყანაში შეტანილი ძვირფასეულობის წყალობით გამდიდრდა კიდეც.

ბელგია

ომში მონაწილეობის პერიოდი: 1940 წლის 10 მაისი — 1945 წლის 8 მაისი (1824 დღე).

მოსახლეობა: 8, 367 ადამიანი (1939 წელი).

შეიარაღებული ძალები: 600 ათასი ადამიანი, 18 ფეხოსანი დივიზია, 2 ცხენოსანი დივიზია, არდენელი ეგერების 2 დივიზია; 185 თვითმფრინავი, 1338 მსხვილკალიბრიანი იარაღი და ყუმბარმტყორცნი (1940).

ხელმძღვანელობა: ქვეყნის მეთაური მეფე ლეოპოლდ III (1932 წლის 23 თებერვალი — 1951 წლის 16 ივლისი); პრემიერ-მინისტრები იუბერ პიერლო (1939 წლის 22 თებერვალი — 1945 წლის 12 თებერვალი, 1940 წლის 20 მაისიდან 1944 წლის 8 სექტემბრამდე მთავრობა დევნილობაში იმყოფებოდა), ახილ ვან აკერი (1945 წლის 12 თებერვალი — 1946 წლის 13 მარტი).

ომში მონაწილეობის ისტორია: ომის დასაწყისში ბელგია ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, მაგრამ გერმანია მის ტერიტორიაზე 1940 წლის 10 მაისს შეიჭრა და ქვეყანამ დახმარება ინგლისსა და საფრანგეთს სთხოვა. ბელგიის სამხედრო ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ შეძლებდა გერმანელების შეკავებას მოკავშირეების მისვლამდე, მაგრამ გერმანელებმა უკვე 10 მაისს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფორტი ებენ-ემაელი ჩაიგდეს ხელთ, რომელსაც 1200 ბელგიელი ჯარისკაცი და ოფიცერი იცავდა, 28 მაისს კი ბელგიის ჯარმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ლეოპოლდ III ქვეყანაში დარჩა და ნაცისტებთან თანამშრომლობდა. გერმანელები ბელგიის ტერიტორიას რაკეტების „ფაუ-2“-ის განსათავსებლად იყენებდნენ, რომლითაც ლონდონს უტევდნენ.

ოკუპაციის წლებში ბელგიაში შეიქმნა ანტიფაშისტური იატაკქვეშეთი, რომელმაც აქტიური მოქმედება 1944 წლის 6 ივნისს დაიწყო, ნორმანდიაში მოკავშირეების გადასხმის შემდგომ. ბელგიის არმიის ჯარისკაცებმა დამოუკიდებლად შეძლეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქის დაკავება, 1944 წლის 2 სექტემბერს მოკავშირეებმა გაათავისუფლეს ბრიუსელი, 8 სექტემბრისთვის ქვეყანა მთლიანად იქნა გათავისუფლებული. 1944 წლის ბოლოდან 1945 წლის აპრილის ჩათვლით, გერმანელები სისტემატიურად უტევდნენ რაკეტებით ანტვერპენსა და ლიეჟს. ბელგიის წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმები გერმანიის ტერიტორიაზე ბრძოლებში კანადის ჯარების შემადგენლობაში იბრძოდნენ.

დანაკარგები: დაიღუპა დაახლოებით 13 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 75 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე.

შედეგები: ომის შემდეგ მეფე ლეოპოლდ III-მ ტახტი დაკარგა, თუმცა მონარქია ბელგიაში შენარჩუნდა. ქვეყნის ეკონომიკა შედარებით ნაკლებად დაზარალდა.

ბულგარეთი

ომში მონაწილეობის პერიოდი: 1941 წლის 13 დეკემბერი — 1945 წლის 7 მაისი (1241 დღე).

მოსახლეობა: 6,3 მლნ ადამიანი (1941).

შეიარაღებული ძალები: 230 ათასი ადამიანი (16 ფეხოსანი დივიზია, 2 ცხენოსანი დივიზია, 1 მოტორიზებული ბრიგადა), დაახლოებით 300 თვითმფრინავი, 8 სატორპედო კატერი (1941).

ხელმძღვანელობა: ქვეყნის მეთაური — მეფე ბორის III (1918 წლის 3 ოქტომბერი — 1943 წლის 28 აგვისტო), მეფე სიმეონ II (1943 წლის 28 აგვისტო — 1946 წლის 15 სექტემბერი), პრემიერ-მინისტრი ბოგდან ფილოვი (1940 წლის 15 თებერვალი — 1943 წლის 9 სექტემბერი), პეტრ დიმიტროვ გაბროველი (1943 წლის 9-14 სექტემბერი), დობრი ბოჟილოვი (1943 წლის 14 სექტემბერი — 1944 წლის 1-ელი ივნისი), ივან ბაგრიანოვი (1944 წლის 1-ელი ივნისი — 2 სექტემბერი), კონსტანტინ ვლადოვ მურავიევი (1944 წლის 2-9 სექტემბერი), კიმონ გეორგიევი (1944 წლის 9 სექტემბერი — 1946 წლის 15 სექტემბერი).

ომში მონაწილეობის ისტორია: 1941 წლის 1-ელ მარტს ბულგარეთი ჰიტლერის ბლოკს შეუერთდა, როცა ნაცისტების ჯარების განსათავსებლად დაუთმო ქვეყნის ტერიტორია. 1941 წლის 9 აპრილს გერმანიამ შეტევა განახორციელა საბერძნეთსა და იუგოსლავიაზე. მათი დამარცხების შემდეგ ბულგარეთს გადაეცა მაკედონიის დიდი ნაწილი, ფრაკია და სამხრეთ-აღმოსავლეთ სერბიის ნაწილი. ბულგარეთის ჯარებმა მოახდინეს ამ ტერიტორიების ოკუპაცია და ბოსნია-ჰერცოგოვინაში იუგოსლავიელი პარტიზანების წინააღმდეგ იბრძოდნენ. მიუხედავად გერმანიის ზეწოლისა, ბულგარეთმა ომი არ გამოუცხადა საბჭოთა კავშირს, სამაგიეროდ, 1941 წლის 13 დეკემბერს ომი გამოუცხადა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს.

1944 წლის 26 აგვისტოს ქვეყანამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და მოითხოვა მისი ტერიტორიიდან გერმანიის ჯარების გაყვანა. 1944 წლის 5 სექტემბერს საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა ბულგარეთს, 8-9 სექტემბერს კი „სამამულო ფრონტმა“, რომელიც მემარცხენე პარტიებისგან შედგებოდა, ქვეყანაში გადატრიალება მოახდინა.

1944 წლის 28 ოქტომბერს კიმონ გეორგიევის მთავრობამ ხელი მოაწერა სსრ კავშირთან ზავს. ბულგარეთის ჯარებმა მონაწილეობა მიიღეს იუგოსლავიაში, უნგრეთსა და სლოვენიაში გერმანელების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებში.

დანაკარგები: სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, დაიღუპა 10-დან 25 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, მშვიდობიან მოსახლეობას შორის დანაკარგმა 10-დან 50 ათასამდე ადამიანი შეადგინა.

შედეგები: დაეცა ბულგარეთის მონარქია, ქვეყანა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა.

Fué Menoscabada la Soberanía Nacional, Dijo el Gral. Ramírez

RUPTURA CON BERLIN Y TOKIO

Se Explicado los Motivos de la Resolución el Presidente

"El Pueblo Sabrá Comprender Esta Medida"

Crítica

Dispone el Decreto la Entrega de los Pasaportes a los Dos Representantes del "Eje"

HABLA EL PRIMER MAGISTRADO

Está Probada su Responsabilidad

Confesó Hellmuth

ბელა გველესიანი
568 90 81 22

(გაგრძელება იქნება)

საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოს კონსტიტუციას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს

საზოგადოება დააბნია საქართველოს ეროვნული ბანკის ბოლოდროინდელმა პოლიტიკამ, რომელიც საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფარცხალაძისთვის სანქციების დაწესებას შეეეხებოდა.

გაურკვევლი მდგომარეობა ყოველთვის დამაბნეველია, მით უმეტეს მაშინ, როცა ისეთი მძლავრი საფინანსო ინსტიტუტი, როგორიც ეროვნული ბანკია, ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს და შემდეგ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ისევ თავად ცდილობს.

ეროვნული ბანკიდან თანამდებობის პირების დემარშით წასვლამ, რასაც შეთქმულების სახე ჰქონდა, საქართველოს პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის მწყობრიდან გამოყვანაც კი მოახერხა და მათ ყაჩაღების ბანდა უწოდა. მიზეზი ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ქადაგიძის ფაქტორი გახდა, რომელსაც ნაციონალური ხელისუფლების ტყვეობიდან, როგორც ჩანს, თავი დღემდე ვერ დაუღწევია და ბოლო ინციდენტიც ქვეყნის მეთაურმა სწორედ ამ ფაქტს დაუკავშირა.

ბატონი პრემიერის მსჯელობაში არის ლოგიკა, მაგრამ საზოგადოება ეროვნული ბანკისგან ფარცხალაძის ინციდენტთან დაკავშირებით მეტ განმარტებას ითხოვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საზოგადოების პრეტენზიები ამ უკანასკნელის მიმართ კი არ მცირდება, არამედ მატულობს!

გულწრფელები რომ ვიყოთ, ხშირად ეროვნული ბანკის პოლიტიკა მოქალაქეების ინტერესებს არ ითვალისწინებს. ამის კლასიკური მაგალითი პენსიონერ მოქალაქეებთან „ლიბერთი ბანკის“ სასესხო ურთიერთობაა, რომლის შესახებაც ჩვენმა მკითხველმა ერთ-ერთი სასამართლო დავიდან შეიტყო. ამ საკითხს ვრცელი სტატიაც მივუძღვენით, მაგრამ შეჭირვებული მოქალაქეების მდგომარეობა დღემდე უცვლელი რჩება და „ლიბერთი ბანკი“ კვლავ არათანაბარ პირობებში განაგრძობს სესხის გაცემას. არადა, ეროვნული ბანკი, როგორც მაკონტროლებელი, პასუხისმგებელია ბანკების მართებულად ფუნქციონირებაზე.

ფარცხალაძის ინციდენტს რომ დავუბრუნდეთ, როგორც ცნობილია, 2022 წლის 26 თებერვლიდან საქართველოს ფინანსური ინსტიტუტები შეუერთდნენ აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებულ ფინანსურ სანქციებს. აშშ-ში მოქმედებს ორგანიზაცია „აშშ-ის ხაზინის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი“ (OFAC), რომელიც პასუხისმგებელია სანქციების განხორციელების კონტროლზე.

ისე შევუერთდით ხსენებულ საერთაშორისო სანქციებს, არ გვიკითხავს ჩვენი საზოგადოების ნება. იძულებულნი გავხდით, 2023 წლის 4 აგვისტოს გამოგვეცა ბრძანება N208/04, რომელშიც სრულად ავსახეთ სანქციებთან დაკავშირებული მიზნები. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ვერ მოვახდინეთ მისი დეტალური იურიდიული ანალიზი. აღნიშნული გარიგება და საერთაშორისო სანქციებს, არ გვიკითხავს ჩვენი საზოგადოების ნება. იძულებულნი გავხდით, 2023 წლის 4 აგვისტოს გამოგვეცა ბრძანება N208/04, რომელშიც სრულად ავსახეთ სანქციებთან დაკავშირებული მიზნები. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ვერ მოვახდინეთ მისი დეტალური იურიდიული ანალიზი. აღნიშნული გარიგება და შეზღუდვა არ უნდა ეხებოდეს პირს, რომლის მიმართაც სასამართლოს არ აქვს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი. საზოგადოება დაიბნა და, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვებიც. რა თქმა უნდა, რთულ სიტუაციაში ჩააყენა ეროვნულმა ბანკმა ხელისუფლება, ამიტომ გასაკვირი არ იყო ირაკლი კობახიძის მიერ გაჟღერებული კრიტიკაც, „ასეთი გადაწყვეტილება თუ არის მიღებული ეროვნული ბანკის მხრიდან, ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას“-ო.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი:

„საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“.

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს კანონს „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს ხელშეკრულებების დადების დროს. კანონი ასევე არეგულირებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესებს ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ და ის არგუმენტი, რომ საერთაშორისო შეთანხმებას უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ადგილობრივს, უკვე სადავოა. სანქციების დაწესება წინააღმდეგობაში მოვიდა საქართველოს კონსტიტუციასთან, რადგან ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას და მხოლოდ მაშინ აქვს უპირატესი ძალა, რაც ირაკლი კობახიძემაც დაადასტურა.

რამდენიმე დღეა, საზოგადოება თვალს ადევნებს და ისმენს მხოლოდ ამ საკითხის პოლიტიკურ შეფასებებს, მაგრამ სად დაიკარგა ფაქტის იურიდიული ანალიზი? პოლიტიკური შეფასება, ბუნებრივია, ვერ გადაწონის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოტანილი ბრძანების საფუძვლიანობას. აქ სიტყვა უნდა თქვან იურისტებმა. ფაქტია, დღემდე ვერ მოვისმინეთ, მათ შორის, პარლამენტში მოღვაწე სამართალმცოდნე პირების დასკვნები. ალბათ, დადგება დრო, როდესაც საერთაშორისო პარტნიორები უფრო მკაფიოდ მოითხოვენ თურნავას, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული ბრძანების იურიდიულ დასაბუთებას. იურისპრუდენცია მეცნიერებაა, რომელიც არგუმენტებითა და ფაქტებით უნდა გამყარდეს. თუ ამ სანქციებთან შეერთების დროს ხელისუფლებას გაახსენდებოდა ადამიანის უფლებები, მაშინ იმ მნიშვნელოვან დოკუმენტში, შეთანხმებაში აუცილებლად გაჩნდებოდა იმ ადამინების კატეგორიების ჩამონათვალი, რომელთაც აუცილებლად შეეხებოდათ სანქციები და, ბუნებრივია, აღარც კითხვები გაჩნდებოდა.

სანქციების ლოგიკას მაინც რომ გაჰყოლოდა საქართველოს მთავრობა და ფარცხალაძე ბოლომდე დაესანქციირებინა, ბუნებრივია, ამას აუცილებლად გააპროტესტებდა თავად პროფესიით იურისტი ფარცხალაძეც და საქართველოს წინააღმდეგ ყველა სამართლებრივ გზას ისიც დაადგებოდა - სასამართლოს მიერ დადასტურებული განაჩენის გარეშე რატომ მსჯითო. ზოგადად, შეთანხმების დადების დროს თუ ამ არგუმენტს მოიშველიებდა ეროვნული ბანკი და ყურადღებას საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაზეც გაამახვილებდა, არც კითხვები იარსებებდა და არც ჩვენი სახელმწიფო ჩავარდებოდა უხერხულ მდგომარეობაში.

ლევან ჭიღლაძე

მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა - გზა საქართველოს ეკონომიკის აყვავებისკენ

საქართველო ისტორიითა და კულტურით მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ ხშირად გლობალური მასშტაბებით დამსახურებულად არ აღიარებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურისტული ინდუსტრია ბოლო წლებში იზრდება, ქვეყნის პოტენციალი, როგორც გლობალური ლიდერისა, ისეთ სფეროებში, როგორიც სოფლის მეურნეობა და განახლებადი ენერგიაა, ხშირად შეუმჩნეველი რჩება.

ქვეყანა ცნობილია ხილის, ბოსტნეულის, ყურძნისა და თხილის წარმოებით. ბოლო წლებში საქართველო საერთაშორისო მასშტაბით ღვინის მთავარი მწარმოებელი გახდა. გარდა ამ ტრადიციული კულტურებისა, საქართველო ასევე ჩაისა და ბამბის მთავარი მწარმოებელი ხდება.

უხვი ბუნებრივი რესურსებით საქართველოს მიწას აქვს პოტენციალი, იყოს მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ეკონომიკაში. მაგრამ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების ხშირად არასწორად გამოიყენებამ გამოიწვია მთელი რიგი პრობლემები სოფლის მეურნეობაში, მათ შორის, ნიადაგის დეგრადაცია, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, პროდუქტიულობის შემცირება დაახლოებით 23%-ით (WBG, 2020).

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია ქვეყნის ეკონომიკაში, მასში დასაქმებულია მოსახლეობის დიდი ნაწილი. სოფლის მეურნეობა ასევე უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა საკვებით მომარაგების მნიშვნელოვან ნაწილს და ეხმარება ისეთ ინდუსტრიებს, როგორიცაა საკვების გადამუშავება და შეფუთვა, ტრანსპორტი და ტურიზმი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სისტემა სამი ძირითადი პრობლემის წინაშე დგას: დაბალი პროდუქტიულობა, მიწის არაეფექტური გამოყენება და ქვეყნის გარეთ ბაზრების მიუწვდომლობა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან, როგორიცაა თესლის გაუმჯობესებული ჯიშებისა და ნერგების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, პესტიციდებისა და სასუქების მაღალი ღირებულება და დაბალი ხარისხი, ადგილობრივი თესლის არასაკმარისი ტესტირება და განვითარება, არაადეკვატური აგრონომიული პრაქტიკა და სათანადო ირიგაციის ნაკლებობა (მსოფლიო ბანკი, 2022). დაბალი პროდუქტიულობა ასევე გამოწვეულია სოფლის მეურნეობის თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ნაკლებობით, არაადეკვატური ინფრასტრუქტურითა და დამხმარე სერვისების ნაკლებობით ან არქონით.

მიწითსარგებლობის არაეფექტურობა შედეგია მიწის მართვის მოძველებული პრაქტიკით და მეურნეობების მოდერნიზაციისთვის კრედიტის ხელმიუწვდომლობით. ამ პრობლემებიდან საუკეთესო გამოსავალი მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვაა.

მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკას, როგორიცაა ნიადაგის კონსერვაციული დამუშავება, მოსავლის როტაცია და ბუნებრივი სასუქების გამოყენება, შეუძლია, გააუმჯობესოს ნიადაგის ნაყოფიერება, გაზარდოს მოსავლიანობა და შეამციროს გარემოს დეგრადაცია.

ქიმიურ სასუქებს შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ ნიადაგის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ხოლო ბუნებრივ სასუქებს, როგორიცაა კომპოსტი, ნაკელი და მოსავლის ნარჩენები, შეუძლიათ გააუმჯობესონ ნიადაგის ნაყოფიერება და გაზარდონ მოსავლის პროდუქტიულობა. სინთეზური სასუქების ან პესტიციდების გამოყენების აკრძალვით ორგანული სოფლის მეურნეობა ეფექტურად შეამცირებს ნიადაგის ეროზიას, რაც საქართველოში გავრცელებული პრობლემაა მისი მთიანი რელიეფის გამო. ნიადაგის სიჯანსაღის გაუმჯობესებით ბუნებრივ სასუქებს შეუძლიათ აგრეთვე, გაზარდონ კულტურების მდგრადობა მავნებლების დაავადებებისა და ამინდთან დაკავშირებული სტრესის მიმართ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც სოფლის მეურნეობა დაუცველია კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმართ. აჭარის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში ნალექის მაღალმა დონემ გაზარდა ნიადაგის ეროზია და გამოიწვია მეწყერები და ზვავები, რის შედეგადაც 1980-2010 წლებში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 7,4%-ით შემცირდა (მსოფლიო ბანკი, 2022).

მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გამოყენებამ, როგორიცაა მოსავლის როტაცია, მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგის საფარის დათესვა, ცოცხალი ფესვების შენარჩუნება, რაც, თავის მხრივ, ინარჩუნებს მიწის ჭიებსა და მიკრობებს, შეუძლია, გააცოცხლოს ნიადაგის ჯანმრთელობა და ნაყოფიერება, რაც მოსავლიანობის გაზრდას და გარემოს დეგრადაციის შემცირებას გამოიწვევს.

ასეთი პრაქტიკა შექმნის უფრო გამძლე სასოფლო-სამეურნეო სისტემას, რომელიც სარგებელს მოუტანს როგორც ფერმერებს, ასევე საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს. სტრატეგიულ ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში, შეუძლიათ აქციონ საქართველო სოფლის მეურნეობისა და განახლებადი ენერგიის სფეროების ლიდერად, ასევე, შეინარჩუნონ მისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა მომავალი თაობებისთვის.

ავტორი დანიელ კიბატულლინ
Borlaug Scholar (0)
ნიუ-იორკის სპეციალიზებული
საშუალო სკოლის (Stuyvesant High School) მოსწავლე

კახა კალაძე: ქედს ვიხრი მათ წინაშე, ვინც ქვეყანას და ქალაქს ცხოვრება მიუძღვნა

„რაც დრო გადის, მით უფრო ძვირფასი ხდება დღე, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის განსაკუთრებულ და საყვარელ ქალაქს, საქართველოს გულსა და სულს, ჩვენს დედაქალაქს, თბილისს ეძღვნება. "თბილისობა" ის ტრადიციაა, რომელსაც ერთნაირი სითბოთი და სიხარულით აღნიშნავს დიდიც და პატარაც, ამ დღეს ელოდება ქალაქის მკვიდრიც და სტუმარიც, ქართველიც და უცხოელიც, ყველას თავისი წილი თბილისი აქვს გულში და საქართველოს დედაქალაქიც ყველას გვეძვირფასება.

ჩვენს ქალაქს, ერთი შეხედვით, ამოუცნობი მიზიდულობის ძალა აქვს. დამეთანხმებით, რომ ეს ჭაღარა, უძველესი თბილისი საოცრად ახალგაზრდული და თანამედროვეა, სიცოცხლითა და სიხარულით, გრძნობებითა და ემოციებით სავსე ქალაქია. აქ 16 საუკუნეა, ერთმანეთის მხარდამხარ მოდიან სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, რომელთაც უყვართ და ეიმედებათ ერთმანეთი, ერთად ოცნებობენ საკუთარი ქალაქის საუკეთესო მომავალზე და ერთად ცდილობენ, ეს ქალაქი გააფერადონ, საკუთარი ფერი შესძინონ და იქ, სადაც სიყვარულია, მოგეხსენებათ, შეუძლებელი არაფერია.

მეამაყება, რომ თბილისელების არჩევანით მაქვს შესაძლებლობა, ვიყო ამ ქალაქის მერი. რა თქმა უნდა, ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და ძალიან დიდი ვალდებულება ჩემთვის. ძალიან კარგად მაქვს გააზრებული, თუ რას ნიშნავს, იყო უძველესი და ულამაზესი ქალაქის მერი. ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და თბილისელების წინაშე აღებული ვალდებულებებია, თუმცა ამ ყველაფერს თან სდევს დიდი სიამოვნებაც, რომელიც თბილისის საპატიო მოქალაქის დასახელების ცერემონიას უკავშირდება", - განაცხადა კახა კალაძემ.

თავის სიტყვაში დედაქალაქის მერმა ხაზი გაუსვა საპატიო თბილისელის წოდების მნიშვნელობას და იმ წვლილს, რომელიც დასახელებულმა მოქალაქეებმა თბილისის განვითარებაში შეიტანეს. მანვე პატივი მიაგო გარდაცვლილ საპატიო თბილისელთა ხსოვნას.

„დღეს მეექვსედ მაქვს პატივი, თქვენთან ერთად ქედი მოვიხარო მათ წინაშე, ვინც საკუთარ ქვეყანასა და ქალაქს ცხოვრება მიუძღვნა, ვისი ამაგის აღნიშვნაც ჩვენი ვალია, ვისაც მადლობა უნდა გადავუხადოთ და თბილისის საპატიო მოქალაქედ დავასახელოთ.

მოდით, ერთად ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქზე, ვიფიქროთ მის მომავალზე, შევეცადოთ და შევძლოთ მისი საუკეთესო სახით ტრანსფორმაცია. მესმის, რომ არსებობს სირთულეები და გამოწვევები, მაგრამ მერწმუნეთ, ერთად დგომით შესაძლებელია, ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო გავალამაზოთ", - განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება წელს 26-მა თბილისელმა მიიღო

თბილისის მერმა კახა ჯალაძემ 2023 წლის თბილისის საპატიო მოქალაქეები დააჯილდოვა და სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას „თბილისობა 2023" მიულოცა.

2023 წლის საპატიო თბილისელის წოდება მიიღო 26-მა მოქალაქემ. მათ შორის არიან: არჩილ ხომასურიძე - რეპროდუქტოლოგი, ენდოკრინოლოგი, აკადემიკოსი; ჟანრი ლოლაშვილი - თეატრისა და კინოს მსახიობი, მხატვარი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; ნუგზარ უბერი - ექიმი, პედიატრი; ალექსანდრე კოტორაშვილი - ფოტორეპორტიორი; რამაზ გახოკიძე - მეცნიერი, პედაგოგი, ქიმიკოსი; გია გაღაშვილი - მუსიკოსი, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე; გურანა გრიგორაშვილი - ექიმი, მეცნიერი და მკვლევარი; ნანა ფაჩუაშვილი - თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; თამაზ მაღლაკელიძე - ექიმი-პულმონოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; ამირან ძორიძე - ექიმი, მეან-გინეკოლოგი, მეცნიერი; გურამ ახალაია - მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე; მურმან ჯინორია - თეატრისა და კინოს მსახიობი; ლია სტურუა - პოეტი; ლეო ანთაძე - თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; იმედა კახიანი - კინომსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; იამზე დოლაბერიძე - მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი; ლევან ლაღიძე - მხატვარი; დავით მაღრაძე - პოეტი, საზოგადო მოღვაწე; რაფიშ თორდია - მხატვარი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო მხატვარი; ავთო მახარაძე - თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი; ზურაბ ლეშავა - სპორტსმენი, მწვრთნელი, კარატეს ქართული სკოლის ფუძემდებელი; მანანა ახმეტელი - მუსიკათმცოდნე, პედაგოგი; მამუკა ჩარკვიანი - მუსიკოსი, კომპოზიტორი; ევა ბაბალაშვილი - მხატვარი, მწერალი; რევაზ არველაძე - ენერგეტიკოსი, ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; ზაზა ავალიანი - ექიმი - ფტიზიატრი.

დედაქალაქის მერმა თითოეულ მათგანს თბილისის სიმბოლური გასაღები და სიგელი გადასცა.

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99